დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა გაბელაია

წევრები:

1.მელანო ზოიძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2.ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8.მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212708373

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N50
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N50
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ.გვერდი არ აქვს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Kutaisi10@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**431273850**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ბრძანება MES 6 23 0000740104(21.07 2023 წელი)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17, 18 ივლისი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

				ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი. ილი ჭავჭავაძის N50
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი. ილი ჭავჭავაძის N50
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქუთაისი. ილი ჭავჭავაძის N50

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 17 და 18 ივლისს სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თეა გაბელაია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე - ადგილზე ვიზიტი)

წევრები:

1. მელანო ზოიძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი - ადგილზე ვიზიტი)

2. ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, სკოლის ინფრასტრუქტურას და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობებს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის თანამშრომლური და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☐ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:

910</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

☒</td><td>აღწერა

(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

☐</td><td></td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეაფასა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი, ხოლო მესამე სტანდარტი ნაწილობრივი

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.6.3.1	„სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
ინდიკატორი 3.6.3.4	შესაბამისად, „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
ინდიკატორი 3.6.3.5	„ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული

	ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.“	ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი **1.1.1.1**	შესაბამისად ,,სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	**რჩევა:** სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლამ მისიის განაცხადში განსაზღვროს სკოლის განვითარების კონკრეტული მიზანი და მთავარ პრინციპები, რომელიც საფუძველი იქნება სკოლის ხედვის.
ინდიკატორი **1.2.1.4**	,,სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“	**რჩევა**: სკოლამ სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**

ინდიკატორი **3.4.1.1**	„სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“	**რჩევა :** ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი **4.1.1.2**	„მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შიდა რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის“	**რჩევა**: სკოლამ მეტი ყურადღება მიაქციოს დამრიგებალთა მუშაობის გაძლიერებას. დაიხვეწოს სადამრიგებლო გეგმები, გაიწეროს კლას-საათზე განსახილველი საკითხები. გაძლიერდეს მშობლებთან თანამშრომლობის მიმართულება. ყველა აქტივობა აისახოს შესაბამის დოკუმენტებში მაგ. სკოლის შინაგანაწესის და სხვა სასკოლო რეგულაციების დამადასტურებელი დოკუმენტების მშობლებისათვის და მოსწავლეებისთვის გაცნობის ამსახველი მტკიცებულებები.
ინდიკატორი **4.1.2.4**	„სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული“	**რჩევა**: სკოლას მიეცა რჩევა სოციალურ ქსელში მოსწავლის ფოტო/ვიდეო მასალის განთავსებასთან დაკავშირებით მშობლებისგან წერილობითი თანხმობის მიღების.

ინდიკატორი **4.2.1.1**	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	**რჩევა**: სასურველია ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშავოს დამრიგებლის პროგრამა , რომელშიც განსაზღვრული იქნევება მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები.
ინდიკატორი **4.2.2.3**	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**რჩევა** : სასურველი იქნება სკოლამ განახორციელოს კვლევა და გაკეთოს ანალიზი , მის მიერ ჩატარელი აქტივობები, რამდენად ეხმარება მოსწავლეს შედეგის მიღწევაში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**	**რჩევა:** სასურუველია კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას აკადემური საათების გათვალისწინება, რაგდან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულმის ჩარჩოში მერვე და მეცხრე კლაში ასახულია 5 თემა რომელიც კომპლექსური დავალებით ხორციელდება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლამ შეიმუშავა და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და სკოლის კურიკულუმის (სასკოლო სასწავლო გეგმა) პროექტები, რომლებშიც განსაზღვრულია სკოლის მისია და ხედვა.

სკოლის მისიაა:,, სკოლა, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, იქცეს კულტურული და სათემო განვითარების ცენტრად, რომელიც ჩამოუყალიბებს მოზარდს პიროვნული სრულყოფისათვის საჭირო უნარებს, რათა შეძლოს სწრაფად ცვალებად სამყაროში ადაპტირება“.

სკოლის ხედვაა: ,, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს ორიენტირებული სწავლების ხარისხიანი პროცესის წარმართვაზე, შექმნას მუდმივად განვითარებადი და განახლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. იზრუნოს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, თავისუფალი და საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნებების ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში. სკოლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სასკოლო საზოგადოების ერთიან გუნდად ჩამოყალიბება, სკოლის სათემო კულტურული განვითარების ცენტრად გარდაქმნა და სკოლის გაციფრულება ტექნოლოგიების განვითარების გზით“.

სკოლის ღირებულებებია:

- უსაფრთხოება;
- განათლების მაღალი ხარისხი;
- კონკურენტუნარიანი, პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;
- გლობალურ პროცესში ინტეგრაცია;
- საზოგადოების მაღალი ჩართულობა.

სკოლის მისია და ხედვა არ მოდის წიანააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, თუმცა მისია ზოგადია და აქცენტი გაკეთებულია სკოლის როლზე, როგორც სათემო განვითარების კულტურული ცენტრზე, რაც შეიძლება ითქვას მნიშვნელოვანია და დიდ როლს ასრულებს მოსწავლის მრავალმხვრივ განვითარებაზე, მაგრამ არ განსაზღვრავს სკოლის კონკრეტულ მიზანს.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და სკოლის კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა), მაგრამ სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისობის გემა სტრატეგიული გეგმისა და სკოლის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც სკოლა აღნიშნულ დოკუმენტებს დაამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

რჩევა:
სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლამ **მისიის განაცხადში განსაზღვროს სკოლის განვითარების კონკრეტული მიზანი და მთავარ პრინციპები, რომელიც საფუძველი იქნება სკოლის ხედვის.**

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა მოქმედი მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმით და 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნულ ნდოკუმენტებში, მისიისა და ხედვის შესაბამისად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო განვითარებაზე და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე მორგებული აქტივობები და ღონისძიებები.

სოციო-კულტურული ატმოსფეროს ფორმირებისათვის სკოლა სასკოლო საზოგადოებას აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას და ხელს უწყობს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოსავლენად. სკოლაში ხორციელდება სხვადასხა სასწავლო და სოციალური პროეტქები, აქტივობები სასკოლო საზოგადოების ინიციატივიტა და აქტიური ჩართულობით. სკოლა აქტიურად ზრუნავს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე. სასწავლო პროცესში ყოველთვის გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები.

მოქმედი და ახალი სამოქმედო გეგმის პროექტში განსაზღვრული ღონისძიებების მიხედვით გამოყოფილია პირები, სტრუქტურული ერთეულები რომლებიც პასუხისმგებელი არიან უზრუნველყოფენ სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული გარემოს შექმნა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლა ნამდვილად წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და სოციო კულტურულ გარემოს, რაც დასტურდება, სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად საკალო ოთახებში განთავსებული მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსებითა და ნამუშევრებით.

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის სათვალთავლო ვიდეოკამერებით, საევაკუაციო გეგმით, ცეცხლმაქრებით, სახანძრო უსაფრთხოების დაფით და შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო, რესურს ოთახი, სკოლის ექიმის კაბინეტი, პანდუსი, ჰყავს მანდატურები, დარაჯი, ექიმი.

ასევე აღსანიშნავია პიროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები და აქტივობები:

1. „თანასწორობიდან უფლებებამდე“;
2. „შეწყვიტე ბულინგი“;
3. „ სკოლის როლი კიბერუსაფრთხოების საკითხებში“;
4. „თანასწორობის კვირეული“და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოებც, რომ განხორციელებული აქტივობებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

ადგილზე ვიზიტის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა დაინახოს, გაიაზროს და განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეს შესაქმნელად.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით 2023 წლის ივლისის თვეში შეიქმნა სასკოლო კურიკულუმისა (სასკოლო სასწავლო გეგმის) და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფები. აღნიშნულმა ჯგუფებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შექმნაზე, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული კვლევის დოკუმენტით. სკოლამ კვლევის ფარგლებში შეადგინა კითხვარები, როგორც მასწავლებლებისათვის ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობი/ უკუკავშირებით დაადგინონ რა უნდა იყოს სკოლის მისია და ხედვა, რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, რამდენად ხშირად ახორციელებს სკოლა სწავლის ახალ მიოდგომებს, როგორია მშობელშა ჩართულობა სკოლაში და ა.შ.

სკოლის სტრატეგიული გეგმის და სასკოლო კურიკულიუმის შემუშავებაში მშობელთა აქტიური ჩართვის მიზნით, სკოლამ ჩაატარა მშობელთა კრებები, რომლის მიზანიც იყო მშობელთა ინფორმირება სკოლის სტრატეგიული გეგმის, სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სკოლის მისასა და ხედვას, მათ პასუხისმგებლობაზე დაუძნებულ აქტიურ ჩართულობაზე,

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
სკოლას 2022-2023 სასწავლო წლისათვის შემუშავებული ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც მოცემულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
სკოლას მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, სურათების სახითაა გამოკრული და გაგზავნილია თიმსის პლათფორმაზე შექმნილი პედაგოგიური და მშობელთა სასკოლო ჯგუფებისათვის.
სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრული აქვს სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სკოლის კურიკულუმის, რომელთა ნაწილიც არის მისია და ხედვა, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება.
სკოლამ ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მტკიცებულებად წარმოადგინა 2023 წლის 05 ივლისისი პედაგოგიურმა საბჭოს N5 ოქმი, სადაც პედაგოგებმა განიხილეს სკოლის კურიკულუმის/სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელსაც პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საინფორამცია მენეჯერი, გაზიარებისა და უკუკავშირების მირების მიზნით გაგუზავნიდა კათედრებს, მშობლებს ელექტრონული ფორმით.
შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც სკოლის მიერ შექნილი ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები იყოს გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისთვის.
ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნეს, რომ ახალი მისია და ხედვის შემუშავებაში აქტიურად იყვენენ ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე და მათი ჩართულობა უზრუნველყოფს დოკუმენტის შინაარსის გაზიარებასაც.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის,რომელიც დასტურდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტით. ასევე მოქმედი მისია ხედვა და ღირებულებები სკოლამ გაასაჯაროვა სხვასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით თიმსით, საინფორმაციო ქსელებით, მშობელთ შეხვედრებით.
სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მომავალშიც ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომი გახდოს ყველა დაინტერესებული პირისთვის. სამომავლოდ აპირებენ სკოლის ვებ.გვერდის შექმნასაც, სადაც განათავსებენ სკოლის ახალ მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ- ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N03.04.26.020), რითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე.

ინდიკატორი 1.1.1.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის კურიკულუმის პროექტი 2023-2024ს.წ;
3. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი 2023-2030 წწ.;
4. სამოქმედო გეგმის პროექტი;

5. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
6. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
7. სკოლის კურიკულუმის დამტკიცების შესაბამისობის გეგმა;
8. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესაბამისობის გეგმა;
9. კველვა ((მშობელთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა კითხვარი);
10. მშობელთა კრების ოქმი N1 23.03.2023წ.;
11. პედსაპჭოს ოქმი N5;
12. ბრძანება N1/კ-28, და ბრძანება N1/კ-29;
13. საგანგებო მართვის გეგმა;
14. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმიN2 22.12.2022წ.;
15. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
16. ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;
17. პროექტები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრისათვის, შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნისას.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოება ჩართულობა, გათვალისწინებული ცვლილების შესაძლებლობა, გადახედვა, მოდიფიკაცია, წარდგენა სამეურვე საბჭოზე, უკუკავშირების გათვალისწინება, მონიტორინგი, შესრულების ვადები, ინდიკატორების განსაზღვრა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოდის შესაბამის ინდიკატორთან.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა 2023 წლის 23 მაისის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი სტრატეგიული გეგმის, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის პროექტში განსაზღვრულია მიმართულებები:

1. სკოლის მომსახურების გაუმჯობესება;
2. განათლების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
3. სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია;
4. ინკლუზიური განათლება;
5. სკოლის კულტურულ ცენტრად ქცევა.

თითოეული მიმართულება აერთიანებს მისიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და ქვეამოცანებს. პროექტის თითოეულ მიმართულებაში გაანალიზებულია მოსალოდნელი შედეგი და რისკები. ასევე გაკეთებული აქვს გარემო ფაქტორების ანალიზი. პროექტში წარმოდგენილია S W O T ანალიზი, რომელშიც გაანალიზებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სტრატეგიული გეგმის პროექტის მიზნები და პროგრამები ურთიერთთანხვედრაში.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის პროექტში აქტივობების განხორციელების პერიოდის სკალაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტულად, რომელ წელს რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა დამტკიცების პერიოდადა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისი.

რჩევა: სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტის დამტკიცებისას გაითავლისწინოს აქტივობების განხორციელების პერიოდის სკალაში განსაზღვროს კონკრეტულად, რომელ წელს რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა.

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შსაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის 2023-2030 წლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება, სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება განხორციელდება 2023 წლის 07 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება 2023 წლის 03 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოგიდგინა ახალი/შეცვლილი შესაბამისობის გეგმა (სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა) სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შსაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის 2023-2030 წლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება განხორციელდა 2023 წლის 03 ივლისიდან 2023 წლის 06 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 06 სექტემბრის N5 სხდომის ოქმი.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და შესაბამისობის გეგმა, სამოქმედო გეგმის პროექტი სკოლამ შეიმუშავა გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის რეფლექსია. სამოქმედო გეგმის პროექტი შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია, როგორ და ვისი ჩართულობით და რა რესურსით შეიქმნება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება შეთანხმება, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ბრძანებით დამტკიცება განხორციელდება 2023 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით პერიოდშილ, სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით.

რეკომენდაცია : სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2023 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოგიდგინა ახალი/შეცვლილი შესაბამისობის გეგმა (სკოლას ვიზიტის

პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა) სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცება განხორციელდა 2023 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს ჩართულობით. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლამ ვზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი. სამოქმედო გეგმის პროექტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, თუმცა არ არის სრულყოფილად განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

სამოქმედო გეგმა ამ აეტაპზე წარმოადგენს პროექტს და არ არის დამტკიცებული, თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესაბამისობის გეგმა.

რჩევა: სკოლამ სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შსაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება შეთანხმება, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ბრძანებით დამტკიცება განხორციელდება 2023 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით პერიოდშილ, სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით.

რეკომენდაცია : სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2023 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილად არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური ოქმი N2 23.05.2023 წ.;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სამოქმედო გეგმის პროექტი;
- სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესაბამისობის გეგმა;
- სამოქმედო გეგმის 2022-2023 სასწავლო წლის რეფლექსია.

ეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი ,,სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სკოლამ უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების წინარე პერიოდში უნდა განხორციელდეს და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სხვა სამუშაო ჯგუფი. შედეგები განიხილება და თანხმდება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შემდეგ ივსება განსახორციელებელი ცვლილებების ცხრილი, რომლის საფუძელზეც სკოლა შეიმუშავებს swot ანალიზს და დააფუძნებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას.

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოკვეთა, რომ ისინი თანამონაწილენი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის. შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შემუშავების წინ სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილია სამუშაო ჯგუფი, რითაც უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გეგმავს შინაგანაწესის გადახედვას და ცვლილებების შეტანას. სკოლას კანონის შესაბამისად გაკეთებული აქვს 2022 წლის ნოემბრის თვეში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების მიზნით გეგმიური ინვენტარიზაცია.

სკოლა, სადამრიგებლო პროგრამების რეალიზების მიზნით, აკეთებს სადამრიგებლო პროგრამების ანალიზს. კლასის დამრიგებლების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქინა სადამრიგებლო პროგრამები, სადაც მოცემულია კლასის სამოქმედო გეგმა კლასის ინტერესების მიხედვით დაგეგმილი.

სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტის ხარისხის ,,ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი და დამხამრე მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც შეიქმნება სასკოლო მონიტორინგის მექანიზმები და განხორციელდება სკოლაში მიმდინარე პროცესების ანალიზი, მონიტორინგი და

შეფასება. დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლის მიერ შეიქმნება სასკოლო მონიტორინგის ჯგუფის (შემდგომ-ჯგუფი), რომლის საქმიანობის მიზანიც იქნება ხელი შეუწყოს:

- მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნას;
- ჯანსაღი კონკურენციის დანერგვას;
- თითოეული პედაგოგის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას;
- მასწავლებელთა წახალისებისა და პრემირების ობიექტური სქემის ჩამოყალიბებას.
- სკოლის ადმინისტრირების გაუმჯობესებას;
- სკოლის მატერიალურ/ტექნიკური ბაზის სრულყოფას;
- სკოლის გრძელვადიანი გეგმის სწორად წარმართვას;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებას;
- პროდუქტიულობის ანალიზი –ინიციატივიანობისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგის პროცესი იქნება ციკლური ხასიათის. პერიოდულად მოხდება დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და განხილვა. საბოლოო შედეგები ცნობილი იქნება სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი გასული წლის სამოქმედო გეგმის და მისი ანგარიშის საფუძველზე, ახალი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობის

უზრუნველყოფის პრაქტიკა სკოლას აქვს და ეს პრაქტიკა გათვალისწინებული იქნება ახალი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფისთვის.
სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განმარტა, რომ სკოლა თიმსის პლათფორმასა და სოციალურ გვერდში შექმნილ ჯგუფებში განთავსებს 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შესახებ ინფორმაციას. ასევე დირექტორმა აღნიშნა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის დასასრულს სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო მოისმენს დირექტორის ანგარიშს აღნიშნულთან დაკავშირებით.
სკოლას დირექტორმა გასაუბრების დროს განმარტა, რომ ვებ. გვერდის შექმნის შემდეგ 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე. შესაბამისად, აღნიშნული საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდაც იგეგმება ანალოგიური პრაქტიკა. ეს დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადაც.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის

2. გასული წლების გეგმების და ანგარიშების ნიმუშები.
3. სტრატეგიული გეგმა;
4. სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით: სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ“, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დებულება და თნამშრომელთა ხელშეკრულებები.

2022-2023 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 79 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 64 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 2 სპეციალური მასწავლებელი, 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 მუშა, 5 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში.
სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქციები.
აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები შერჩეულია და მათი ფუქცია/ მოვალეობები განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
სკოლამ ასევე სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის დადასტურებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, თვითმმართველობისა და დისციპლინარული კომიტეტების ოქმები.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას პერსონალი შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ ‘’ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია დიპლომის ასლები ნოტარიულად დამოწმებული, კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.
მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სკოლაში დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით: სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ“, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დებულებითა და თანამშრომელთა ხელშეკრულებებით, სადაც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს და ხელი შეეწყოს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და ინოვაციების დანერგვას. ასევე ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული საბოლოო ჯამში სკოლის მისიას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი ფუნქცია და პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ;
2. სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დებულება;
3. თნამშრომელთა ხელშეკრულებები;
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
5. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
7. დებულებები;
8. პირადი საქმეები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესი, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების

გადანაწილების შესახებ“, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალის მართვის პროცესები.
სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულება აწესრიგებს მასწავლებლების შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების საქმიანობას.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

სკოლის შენაგანაწესი და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიების დროს აღინიშნა, რომ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.
სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისიხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის დაცვით. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ბრძანებები ვაკანტური ადგილის შესავსებად შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ შიდა კადრებით არ მოხდა ვაკანტური ადგილის შევსება სკოლა ღია კონკურსის შესახებ განაცხადს აქვეყნებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულიუ პირისთვის. აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიიის ოქმი, თანამშრომლად დანიშვნის ბრძანება და ხელშეკრულებები.

კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, დირექტორის მიერ საპრეტენზიო კომისიის შექმნის პრაქტიკა სკოლაში არ ყოფილა.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განაცხადება;
ბ) CV;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;
ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის;
თ) ცნობა ნარკოლოგიურის შესახებ.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძნებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიპიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს

გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. **შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

2022-2023 სასწავლო წლისათვის სასწავლო პრცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 79 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 64 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ- ბტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 2 სპეციალური მასწავლებელი, 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 მუშა, 5 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში.

სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და მოწვეული მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სრტუქტურული ორგანოების ოქმებით.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.
სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების გამოცდილება. სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესის მიხედვით, სადაც მოცემულია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმი.
სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინტერვიუირების დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებასა აფორმებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. ასევე დასაქმებულის მიმართ შესაძლოა ერთდროულად გამოიყენოს წახალისების რამდენიმე ფორმა. მას წერილობით მიმართავენ დასაქმებულის წახალისების თხოვნით, დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

სკოლის დირექტორმა სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარების დადასტურებად წარმოადგინა 2022 წლის 28 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2, სადაც პედაგოგებს სხდომაზე წარუდგინა წამყვანის სტატუსის მქონე ორი მასწავლებლის კანდიდატურა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობა აქვთ მიღებული, მოპოვებული აქვთ გამარჯვებები, სასკოლო და საქალაქო კონკურსებსა და კონფერენციებში და აქვთ წარმატებული გამოცდილება. ოქმის მიხედვით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლამ ისინი წარადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილ მასწავლებლის დღესთან დაკავშირებულ დაჯილდოებაზე.

პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიმსის პლატფორმას და სოციალურ ქსელს.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. შინაგანაწესი;
2. სკოლის დებულება;
3. საერთო ბრძანებების ჟურნალი;
4. საკადრო ბრძანებების ჟურნალი;
5. კონკურსის წესი;

6. საკონკურსო კომისიის ოქმი;
7. პერსონალის პირადი საქმე;
8. შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექნიზმების დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა საქმინაობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, ხარისხის მართვის ჯგუფის სამუშაო დებულებაში, კათედრების სამუშაო გეგმასა და კათედრების ანგარიშებში.

ხარისხის მართვის ჯგუფი მოქმედებს დებულების მიხედვით. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ ხარისხის ჯგუფი პედაგოგების მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში (გაკვეთილებზე დასწრება) ხელმძღვანელობს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე. პედაგოგთა შეფასებას ახორციელებს ასევე საგნობრივი კათედრები წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად. ხარისხის ჯგუფის წევრები, დირექცია, კათდრის წარმომადგენლები აკვირდებიან მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესს, ხდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, შესაბამისად იძლევიან უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწალებელთა მიერ შემდგომ მუშაობაში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები, სადაც აღწერილია გაკვეთილზე დასწრებისას სიტუაციის ანალიზი. პოზიტიური უკუკავში, კრიტიკული უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის გაკვეთიილებზე დასწრებისას გამოვლენილი უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მაწავლებელთა თვითშეფასების

დოკუმენტები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციიის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შემენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება ურთიერთსწავლების შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას, რაც დასსტურდება ტრენინგების, სასკოლო პროექტების, რესპუბლიკური, საერთაშორისო კონფერენციების, „intelის“ პროექტებში ჩართულობითა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. სკოლამ ასევე განახორციელა მასწავლებელთა წარდგენას სტატუსის ამაღლების მიზნით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა კონფერენციებსა და პროექტებში, კერძოდ, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით მათ მონაწილეობა აქვთ მიიღებული Key Consulting ინიციატივით გამართულ საერთაშირისო კონფერენციაში თემაზე „ პროექტებით სწავლების უპირატესობები“, ისისნი ჩართულები არიან eTwinning. პროექტში, რომლის ფარგლებში პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ონლაინ შეხვედრები/ სემინარები განხორციელდა უცხოელ პარტნიორებთან. აღნიშნულის დადასტურებად ასევე გარდა ინტერვიუსა კათედრებმა წარმოადგინეს მათი ანგარიშები და ფოტო მასალა. ასევე მათ მიერ ანგარიშებში იკვეთება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელტა კარიერული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. კერზოდ მათ შეხვედრების დროს განხილული აქვთ თემები: „2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში მოპოვებული, შექმნილი და

განხორციელებული მეთოდებისა და დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გაზიარება“, ,,საერთაშორისო პროექტებით სწავლების უპირატესობები“, ,,შეფასების ინსტრუმენტები“, ,,დიაგნოსტიკური ტესტირებები III – IV კლასებში“ და სხვა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნისნეს, რომ ისინი ესწრებიან სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგ კურსებს, თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და ითვალისწინებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებეთა რეფლექსიები.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გგემით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობა, უსაფრთხოება და საგანმანათლებლო/ საკანცელარიო/სანიტარულ-ჰიგიენური რესურსებით აღჭურვა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიისა და ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, კვების ობიექტი, გარე სპორტული მოედნები.

სკოლის ეზოში შექმნილია შესაბამისი სივრცე. სკოლა ამ ეტაპისათვის უზრუნველყოფილია საგანამანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმიდან და სკოლის დებულებიდან დგინდება, რომ სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე. სამოქედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტივოებისა და მექნიზმების გამოყენებით.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენიგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საწირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა.

მასწავლებლებმა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და პროექტებზე ჩართულობის დადსტურებად წარმოადგინეს პროექტები, ფოტომასალები, სერთიფიკატები და სიგელები.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება
2. 2022-2023 სამოქმედო გეგმა
3. კათედრის სამოქმედო გეგმა
4. კათედრის ოქმები
5. ფოტომასალები
6. სერთიფიკატები
7. სიგელები

8. პროექტები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ“, სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დებულება და სტრუქტურული ერთეულების დებულებები. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობები.
2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრულია ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტების შესაბამისად.

სკოლას ჰავს ხარისხის მართვის მენეჯერი და ასევე შექმნილია მასწავლებელთა საქმინაობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. ხარისხის მართვის ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პედაგოგთა დაკვირვება, შეფასება და სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა სკოლას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის, სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურ და ხარისხიან მართვას.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაეფუძნოს პროცესულ მიდგომას და განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული, რაც დასტურდება 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში, სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტსა და სკოლის დებულებაში გაწერილი ფუნქცია/მოვალეობებით, ასევე ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებებით.

ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, მტუკმა, ბუღალტერმა, ხარისხის მართვის მენეჯერმა, აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას სკოლის დებულებასა და შინაგანაწესის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლას აქვს შემოსული საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი.

სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლაში შემოსული საჩივარი ტარდება რეგისტრაციაში და განსახილველად გადაეცემა დისციპლინარულ კომიტეტს შემდეგი რეაგირებისათვის, აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის დებულების დოკუმენტით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს მანდატური, დისციპლინარული კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვა.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიმზები.

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიმზების შესრულებაზე პასუხისმგებელია მანდატური და სკოლის დირექცია.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
3. გასაჩივრების ჟურნალი
4. სკოლის დებულება
5. სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ“
6. სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

პედაგოგებთან, საინფორმაციო მენეჯერთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც.

სასკოლო მსაზოგადოების უკუკავშირი სოციალური ქსელითა და თიმსის პლატფორმით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და პასუხს უბრუნებს მშობლებს სოციალური ქსელით ან თიმსის პლატფორმით.

ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა.
აღნიშნული სტრუქტურურლი ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეებთან ინტერვიუებითა და ოქმებით.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. ყოველ პარასკევს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მშობლებისთვის არის „ღია კარი“ და მათ ეძლევათ მასწავლებლებთან პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა.
მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ კლასს ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.
დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის თვითმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველი თიმსის პლატფორმისა და სოციალური შიდა ქსელის ფოტომასალა
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
6. თვითმმართველობის ოქმი;
7. სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი,
სკოლას ბრძანებით განსაზღვრული საგანგებო შტაბი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არის შეთანხმებული. სკოლას ჰყავს მანდატური და განსაზღვრული აქვს სართულებს შორის მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ასევე გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ოთხივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, პირველ სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი სრული აღჭურვილობით. სკოლაში დამონტაჟებულია 16 უსაფრთხოების კამერა (13 შიდა კამერა და 3 გარე კამერა) , რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლას ასევე ჰყავს 3 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები თავის საქმიანობას წარმართავენ მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო.
სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი და 1 ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. ვიზიტის პერიოდში, ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა ისაუბრეს მანდატურის სამსახურის მიერ წარმართულ საქმიანობაზე. მათი საუბრიდან გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთვის გაგზავნილი შენობის ექსპლუატაციისა და მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ აქვს მიღებული პასუხი დასკვნასთან დაკავშირებით.

სკოლამ ასევე ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული გურიის რეგიონალური დაცვის დეპარტამენტთან, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ოთახის სიგნალიზაციით დაცვას და უსაფრთხოებას.

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა :
ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოგიდგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.4.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში. სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, 2023 წლის 12 ივლისიდან 2023 წლის 05 ასექტემბრის ჩათვლით, სკოლის დირექტორის/მტუკის ჩართულობით, უზრუნველყო ტექნიკური მდგრადობის დასკვნის მოპოვება და არგუმენტირებულ პასუხთან ერთად წარმოადგინა სკოლის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დოკუმენტი.

რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტს, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, სადაც კონკრეტულ მისამართზე მითითებულია სსიპ ქალაქ ქუთაისის საჯარო სკოლა და ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს მინიჭებული საკადასტრო კოდი და აღწერილია შენობა ნაგებობების არსებობა კონკრეტულ მისამართზე.

ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის დებულებით. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მანდატურის სამსახური, სკოლის მორიგეები და სკოლოს დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯის მიერ, რომელიც აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა წევრისათვის შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც დასტურდება სასკოლო ცხოვრებაში მანდატურის სამსახურის, ასისტენტისა და სპეციალური მასწავლებლის აქტიური თანამომაწილეობით, მოსწავლეთა რეფერირების შესაძლებლობებით, ინკლუზიური სწავლების განხორციელებით.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესებიდა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები ბულინგთან, ძალადობასთან, თანამშრომლობით, ურთიერთ პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნასთან, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრასთან, ჯანსარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან და ადამიანის უფლებების/ მოვალეობების გააზრებასთან თითოეულ მოსწავლეში პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გავზარდასტან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირების მექნიზმები. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი. მტუკთან გასაუბრების დროს დასახელდა ის ვალდებულებები, რომელიც მას აკისრია: სასკოლო სივრცის დათვალიერება და სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება. მას განსაზღვრული აქვს გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.
სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკალო ოთახები და სველი წერტილები

აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. დამლაგებლებთან (სკოლას ჰავს 5 დამლაგებელი) და მტუკთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საპირფარეშოებისა და საკალო ოთახების დალაგება ხდება სველი წესით დღეში რამდენიმეჯერ.
სკოლის ექიმი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისად.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმის მწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას,შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემი განვითარება და სკოლის ციფრული განვითარება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წაროადგინა ციფრული განვითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ადგილზე ვიზიტის დროს ინფორმაციულ მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს

კონკრეტულ ინფორმაციას. სკოლას ბრძანებით ჰავს განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშვებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში მუშობს მანდატურის სამსახური. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აკისრია მანსატურს და სკოლსი დირექციას. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მანდატურს დახმარებისთვის. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით აღიჭურვა ვიდეოთვალითა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმებით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
2. სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
4. საგანგებო შტაბისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
5. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
6. ხელშეკრულება ექიმთან, დამლაგებლებთან, მატერიალუ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან, დარაჯთან;
7. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.
9. დაცვის ხელშეკრულება.
10. სამედიცინო დახმარების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 3597,37 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობა არის 3 სართულიანი. სამივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო სველი წერტილები, ფიზიკის ლაბორატორია. პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), სპორტული დარბაზი გასახდელებითა და სველი წერტილებით, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი. მესამე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები, სველი წერტილები.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა სასკოლო სივრცე:

- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, და სკამებით (სულ აქვს 985 მერხი და სკამი) კარადებით, სასკოლო დაფით, მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით და ნამუშევრებით.
- სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ფიზიკის ცალკე, ქიმია/ბიოლოგიის ცალკე) კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი.

მიღება ჩაბარებებითა და შესყიდვის დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად უზრუნველსაყოფად აქვს აქვს 985 მერხი და სკამი, 67 კომპიუტერი, რომელსაც აქვს ინტერნეტთან წვდომა, 8 პროექტორი, 5 პრინტერი.

სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელიც შედგება 15372 წიგნადი ფონდისაგან, განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები და 20 კომპიუტტერი მოსწავლეებისათვის და ერთი ბიბლიოთეკარის სამუშაო კომპიუტერი. ბიბლიოთეკას აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს თავადაც იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიება და გაცნობა. სკოლის საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სკოლას აქვს 400 მოსწავლეზე გათვლილი სააქტო დარბაზი და დერეფანში მოწყობილი თავისუფალი სივრცე მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლო, ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს სასკოლო საზოგადოებას საჭიროებისამებრ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;
- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- მზა პროდუქციის, სტრატეგიული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების, სხვა დანაჩენი მატერიალური მარაგების - წელიწადში ერთხელ;
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების კვარტალში ერთხელ;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიბლიოთეკარმა ისაუბრა წიგნების ჩამოწერის სირთულეზე.

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძვლად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 876 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს შესაძლებლობა 2 ცვალში უზრუნველყოს მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტი.

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 910 მოსწავლეზე. სკოლის ეზო მოწესრიგებულია, შემოღობილია და უსაფრთხოა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლას აქვს ორი შემოსასვლელი ჭიშკრარი, სკოლის შენობას აქვს ორი შემოსასვლელი კარი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მოწესრიგებულად გადაადგილებას სასკოლო სივრცეში. სკოლის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ სპორტის გაკვეთილზე, თუმცა ის არ შეესებამება თანამედროვე სტანდარტებს და არის სარეაბილიტაციო.

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის ნახაზი, მირება- ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსები.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორის დებულება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება) დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებობს რეკრიაციული სივრცე (დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რომელიც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის:

- სკოლაში შემოსასვლელ კიბეებთან დამონტაჟებულია პანდუსი.
- ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
- სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესურსოთახი გამდიდრებულია სსსმ მოსწალვეთათვის საჭირო ინვენტარით: კომპიუტერით, პრინტერით, სახელმძღვანელოებით, მერხებიტ, სკამებითა და . მოსასვენებელი სავარძლით.

სკოლას არა აქვს სართულებს შორის პანდუსები. სკოლის დირექტორთან ინტერვის დროს აღინიშნა, რომ სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებისას აუცილებლად გაითვალისწინებს სართულებს შორის პანდუსების მოწყობისთვის სამუშაობეის განხორციელევბას.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და გარე მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება რომ ბიბლიოთეკარი ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში და აქტივობებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე - სადაც მოსწავლებს შეუძლიათ შეკრება.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები), სხვადასხვა სახის

თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), კლასგარეშე ლიტერატურა, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზის, რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სტემის ლაბორატორია, სამედიცინო ინვენტარი, ბუნებრივი გარემო და სხვა. აღნიშნულ სივრცეებში განთავსებულია კურკულუმით განსაზღვრული და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის სასწავლო რესურსები: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი, ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები, რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, კომპასი, გლობუსი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები, ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, სახატავი მასალები, მუსიკალური ცენტრი და სპორტული ინვენტარი -ბურთები, ლეიბები, ჰულაჰუპები, ჭადრაკის დაფები.
დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, ბიოლოგიის მულაჟები, ფიზიკის ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტივები.
სკოლას აქვს ეზო, სპორტული მოედანი ღია სივრცეში, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების/პროექტების განსახორციელებლად.
ინტერვიუირების დროს სასკოლო საზოგადოების მიერ ჩამოთვლილ იქნა პროექტები და აქტივობები, რომელიც მოცემ სივრცეებში გაიმართა.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები
2. ბიბლიოთეკის დებულება და სამუსაო გეგმა
3. ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
4. რესურსოთახის ფოტომასალა

5. ლაბორატორიების დებულებები
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,
7. სკოლის ნახაზი
8. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, რომელიც დასტურდება ვიზიტის დროს ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დათვალიერებითა და სკოლის ბურალტერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით-მირება-ჩაბარებებითმ, ანგარიშ ფაქტურებით. სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აქვს 67 კომპიუტერი , 8 პროექტორი და 5 პრინტერი. კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში განთავსებულია 32 პერსონალური კომპიუტერი, პროცესორი და 1 პროექტორი. დანარჩენი კომპიუტერები განთავსებულია საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს მულტიფუნქციური და ლაზერული პრინტერები. დირექტორი კაბინეტი, სამასწავლებლო, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სტემის ლაბორატორიები, კომპიუტერის ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და კანცელარია აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. აღნიშნულ სასწავლო სივრცეებს ინტერნეტი მიეწოდება უწყვეტად. სკოლის მთელი შენობა დაფარულია wi-fi -ით. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა ზემოთჩამოთვლილი რესურსის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს, გააცნოს კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით, თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩაატარონ სხვადასხვა აქტივობები. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება და დადასტურებად წარმოადგინა სკოლა სკოლას აქვს ციფრული განვითრების გეგმა სადაც აღწერილია თუ როგორ მოახდენს სკოლის სრულ გაციფრულებას.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო სივრცის გამოყენების გეგმა. მიღება-ჩაბარებებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორით და პროექტორის ეკრანის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია wi-fi-ით. სკოლამ წარმოადგინა სქულბოქსი.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა
2. ტექნოლოგიების ინფრასტრუქტირს შესყიდვის დოკუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).
- სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

ჟურნალები იყო აკინძული, ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებული სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დოკუმანტაციის შესწავლისას სკოლამ ვერ წარმოადგინა:

1. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების აღრიცხვის სარეგიტრაციო ჟურნალი;

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.
მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადიობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).
სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge.
ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge, სადაც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია პერსონალისა და მოსწავლეების შესახებ.
ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.
ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები
2. დასაქმებულტა და მოსწავლეთა პირადი საქმეები
3. შრომითი ხელშეკრულებები
4. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა
5. 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას, სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი.
სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე არის გამოკრული და ასევე ატვირთულია თიმსის პლათფორმაზე.
სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში არსებულ სხვა არხებს.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.6.3. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კერძოდ, skolebi-admin.emis.ge-ზე სკოლის დარეგისტრირება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადმინისტრატორის მიერ ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება, განხორციელდება 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით დირექტორისა და ადმინისტრატორის ჩართულობით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.6.3.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის პედაგოგთა შიდა სოციალურ გვერდსა და თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში აზიარებს სკოლა საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებებს და ა.შ. გაზიარებული ინფორმაცია სანდოა: მითითებულია წერილის ნომერი, კონკრეტული ორგანიზაცია.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, პლატფორმა თიმსი და სოციალური შიდა გვერდები. დირექციის განმარტებით, სასკოლო ელექტრონული გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. გამოკითხვის შედეგებს აანალიზებენ სკოლის წარმომადგენლები და უკუკავშირს ამავე არხით უბრუნებენ სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს ვებ გვერდი.
სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია სკოლის ვებგვერდის შექმნის შესახებ შესაბამისობის გეგმა.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.6.3. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კერძოდ, skolebi-admin.emis.ge-ზე სკოლის დარეგისტრირება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადმინისტრატორის მიერ ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება, განხორციელდება 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით დირექტორისა და ადმინისტრატორის ჩართულობით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.6.3.4 მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს ვებ გვერდი.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.6.3. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კერძოდ, skolebi-admin.emis.ge-ზე სკოლის დარეგისტრირება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადმინისტრატორის მიერ ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება, განხორციელდება 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით დირექტორისა და ადმინისტრატორის ჩართულობით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.6.3.5 მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისადმი მიწერილი წერილი ვებ-გვერდთან დაკავშირებით
2. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ვებ-გვერდთან დაკავშირებული პასუხი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლებით. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა

2023 წლის ბიუჯეტი, 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც სკოლას გაწერილი ჰქონდა თითოეული აქტივობის ფინანსური რესურსი. სკოლამ წარმოადგინა ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები, რითიც ასევე დასტურდება სკოლის ფინანსური მდგრადობა.
ინდიკატორი 3.7.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო .სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეორვეო საბჭოს. სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთბს სამოქმედო გეგმის შსრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი , სადაც განხილულია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის საკითხი.
სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბურალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს.
დირექტორი სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას.
შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი,
- 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი,
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

წარმოდგენილი და სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიის უზრუნველყოფა. სკოლაში დაცულია დემოკრატიულობის ხარისხი. სკოლას ყავს, სკოლის თვითმართველობა, რომელიც არჩეულია კანონის შესაბამისად ფარული კენჭისყრით. არჩეულია სკოლის თვითმართველობის ორი თავჯდომარე საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც არჩეულია სკოლის თვითმართველობის წევრი, ასევე სკოლის სამეურვეო სავჭოს შემადგენლობაში შედის მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი.

სკოლის თვითმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის შინაგანაწესი და დებულება შედგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების დაცვას.

სკოლის შინაგანაწესი და დებულება მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ეფუძნება ბავშთა უფლებების კონვევციას, ბავშთა უფლებების კოდექსს და ზოგადი განათლების შესახებ კანონს, რადგან ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რომელიც ამ კანონებითაა განპირობებული. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლა იცავს და იღებს პასუხისმგებლობას იზრუნოს ყველა ბავშვზე. იგი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის ქმნის აუცილებელ პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, შენობაში გადაადგილებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის და სხვა საჭირო შესაბამისი პირობების შექმნით.

თვითმართველობა ატარებს სხდომებს, რომელზეც განიხილავს სხვადასხვა საკითხებს. 2022 წლის 20 ოქტომბრის თვითმართველობის სხდომის ოქმიN1 მიხედვით სკოლის თვითმართველობამ დაამტკიცა თვითმართველობის დებულება და შექმნა სასკოლო კლუბები. სხდომაში მონაწილეობდნენ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

თვითმართველობის დებულებაში განსაზღვრულია თვითვმმართველობის მიზნები და ამოცანები, დაფინანსების წყაროები, თვითმმართველობლის თავჯდომრის არჩევის წესი, თავჯდომრის ფუნქციები, თვითმმართველობის წევრის და თავჯდომრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი, თვითმართველობის მუშაობის წესი, ძირითადი ფუნქციების და დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა. დებულების მიხედვით თვითმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას.

მოსწავლეთა უფლებების აღიარება გამოიხატება იმითაც, რომ თვითმართველობის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით სკოლაში შექმნილია კლუბები:

1. „მკითხველთა კლუბი“;
2. „ხატვის მოყვარულთა კლუბი“;
3. „გარემოს დაცვის კლუბი“.

თვითმართველობის მიერ შექმნილი კლუბები მხარდაჭერილია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურმა საბჭოს მიერ. მოსწავლეთა უფლებების აღიარება და მხარდაჭერა გამოიხატა იმაშიც, რომ ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმართველობის მიერ შექმნილი წლიური ანგარიში, სადაც განსაზღვრული აქვს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, სკოლის თვითმართველობა წლიურ ანგარიშში აღნიშნავს დირექციისა და სკოლის მასწავლებლების პოზიტიურ დამოკუდებულებას და მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**
   კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას განთავსებული აქვს სტენდზე, მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. სკოლის დებულებაში, დამრიგებლის ვალდებულებებში განსაზღვრულია, რომ დამრიგებელი სასკოლო საზოგადოებისთვის საინფორმაციო დაფის, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით და მშობელთა კრებების საშუალებით ახდენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციების გაზიარებას, 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დამრიგებლის ანგარიშის მიხედვით დამრიგებელი ატარებს კლას-საათებს მოსწავლის უფლება მოვალეობებზე ცნობიერების ასამაღლებლად, იწვევს მშობელთა კრებებს სადაც ახდენს მშობელთა ინფორმირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გათვალისწინებულია მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებშიც. შესაბამისად მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

რჩევა: სკოლამ მეტი ყურადღება მიაქციოს დამრიგებალთა მუშაობის გაძლიერებას. დაიხვეწოს სადამრიგებლო გეგმები, გაიწეროს კლას-საათზე განსახილველი საკითხები. გაძლიერდეს მშობლებთან თანამშრომლობის მიმართულება. ყველა აქტივობა აისახოს შესაბამის დოკუმენტებში მაგ. სკოლის შინაგანაწესის და სხვა სასკოლო რეგულაციების დამადასტურებელი დოკუმენტების მშობლებისათვის და მოსწავლეებისთვის გაცნობის ამსახველი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტებში აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები, შინაგანაწესის გაცნობა და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ზოგადსაგანმამნათლებლო დაწესებულების, სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის უსასყიდლოდ აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობის გადაცემის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, დავები და მათი გადაწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებების შეტანა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, მიღება ჩაბარების აქტი და სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმები.
სკოლას ყავს 13 სსსმ მოსწავლე, რომლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისად აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები. მოსწავლის საჭიროებისამებრ, უფლებების დაცვით მიზნით გონურვილ ვადებში ხდება ინდ. ჯგუფის შეკრება და ცვლილებების შეტანა ინდ სასწავლო გეგმაში, მინდა აღვნიშნო ამ მიმართულებით სრულიად დაცულია მოსწავლის უფლებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები სრულიად შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

შინაგანაწესი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4. 10.11.2022 წ., თვითმართველობის სხდომის ოქმიN1. 18.10. 2022 წ., თვითმართველობის სხდომის ოქმი N1 20.10.2022წ., თვითმართველობის დებულება, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი N1. 20.10.2022 წ., „მკითხველთა კლუბი“ დებულება, „ხატვის მოყვარულთა კლუბი“ დებულება, „გარემოს დაცვის კლუბი“ დებულება, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სკოლის დებულება დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2022 წლის 07 სექტემბრის სხდომის ოქმი N1, დამრილგებლის 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ანგარიში. ინდ გეგმები, ინდ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, მულტიდისციპლუნური ჯგუფის დასკვნები, ინდ. ჯგუფის შექმნის ბრძანებები, მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტები, ინტერვენციის გეგმები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში სკოლის დებულებაში და შინაგანაწესში, განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის გამჭვირვალეა და მკაფიოა მექანიზმები. სკოლაში მოსწავლე ირიცხება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც განთავსდება საინფორმაციო სისტემის მართვის ელექტრონულ გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება რეაგირება დირექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია, როგორ და რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება სკოლაში პირველ კლასში ჩარიცხვა, ასევე განსაძღვრულია რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სკოლაში გადმოსვლა, მობილობის დროს მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განაცხადის საფუძველზე გამოითხოვება პირადი საქმე, რომლის მიღების შემდეგ სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ. სკოლაში ჩარიცხული ყველა

მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განათავსებულია შინაგანაწესში განსაზღვრული დოკუმენტები. საფეხური ითვლება დაძლეულად პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს 2022-2023 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის დაძლევის სხდომის ოქმი. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, გაცდენების ან კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის წარმოდგენის საფუძველზე სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით. ვინაიდა ზემოთ აღნიშნული საკითხები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში და სკოლის დებულებაში, რომლებიც შედგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამონაწილეობით, ასევე დამრიგებლები შინაგანაწეში განსაზღვრულ საკითხებს მშობლებს, მშობელთა კრებებზე აცნობენ და განთავსებულია სკოლის სტენდზე, შესაბამისად აღნიშნული საკითხები გამჭვირვალეა სკოლის საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, პედაგოგიური სბჭოს სხდომის ოქმი) მიხედვით სკოლა იცავს ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის ბაზა, სკოლას კანონის შესაბამისად აქვს დაცული აღნიშნული დოკუმენტების მოძრაობა.

   ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სსიპ -ქალაქ ქუთაისის N10 სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სამიზნე ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს სკოლის კანცელარია:

- ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე
- გამოიკვრება სკოლის ფოიეში.

სკოლას აქვს აქტიური სოციალური გვერდი, სადაც ყოველდღიურად განთავსდება სხვადასხვა ინფორმაცია სკოლაში და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ.

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას გახანგრძლივებული ჯგუფების სახით, რომლის ფუნქცირების წესი გაწერილია სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სწავლების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების , სერვისები გახანგძლივებული დღის ჯგუფის, გრიფირებული სახელმძღვანელოები, მოსწავლებისთვის შეთავაზებული სხვადასხვა აქტივობები არის კანონმდებლობის შესაბამისი , განახლებული და არადისკრიმინაციული, სკოლას არ აქვს ვებ გვერდი და ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე , თუმცა სკოლა მუშაობს ვებ გვერდის შექმნაზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა პირად ინფორმაციას აკადემიურ მოსწრებისა და ქცევის შესახებ, მშობლებს აცნობენ, ინდივიდუალურად, როგორც პირისპირ ისე საჭირიროების შემთხვევაში თიმსის პლატფორმით. ელექტრონულ ჟურნალში დაცულია მოსწავლის პერსონალური ინფორმაცია. სოციალურ ქსელში

მოსწავლეთა ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება, სკოლის ინფორმაციით, მშობელთა სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული პროგრამები, მაგალითად დამატებითი არჩევითი საგანი მეათე კლასში და მეორე უცხო ენის არჩევა მეხუთე კლასში, რომელსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეს შეთანხმებულია მშობლებთან , მშობელთა კრებებზე, მშომლები თანხმობას აღნიშნულ საკითხზე ხელმოწერით ადასტურებენ ოქმში.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სოციალურ ქსელში მოსწავლის ფოტო/ვიდეო მასალის განთავსებასთან დაკავშირებით მშობლებისგან წერილობითი თანხმობის მიღების.

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი, სკოლის დებულება, პედაგოგიური საბჭოს სხდომის N2 ოქმი 23.05.2023 წ., სტატუსის შეჩერების ბრძანება N2-103. 2023 წ, სტატუსის შეჩერების ბრძანება N2- 303. 2022წ., ჩარიცხვის ბრძანება N2-174, ჩარიცხვის ბრძანება N2-04. 2023წ., ამორიცხვის ბრძანება N2-37. 2023წ., მშობელთა ოქმები 2023 წ. ,

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**
   სკოლის მიერ წარმოდგენის მასალებში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექნიზმები ძირითადად განსაზღვრულია სკოლის დებულებაში და შინაგანაწესში, კერძოდ დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებში. შინაგანაწესის მიხედვით მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციას კლასის დამრიგებელი ახდენს. ასევე დამრიგებელს ევალება კლას საათების ჩატარება ამ მიმართულბით. პირველ კლასელთა ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობა განსაზღვრულია ბიბლიოთეკის გეგმაში, რომელიც სკოლის დირექტორის ბეჭდით არის დამოწმებული, ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებელი და ბიბლიოთეკის გამგე. ასევე 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა, რომლის პასუხისმგებელი პირები სკოლის საზოგადოებაა.

რჩევა: სასურველია ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშავოს დამრიგებლის პროგრამა , რომელშიც განსაზღვრული იქნევბა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სსიპ -ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლაში სწავლის დასაწყისში, პირველკლასეთათვის იმართება მიღების დღე, სადაც მშობლებს ხვდებიან დირექციიც წარმომადგენლები და მომავალი მასწავლებლები. პირველკლასელთათვის ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობა განსაზღვრულია ბიბლიოთეკის გეგმაში, რომელიც სკოლის დირექტორის ბეჭდით არის დამოწმებული, ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებელი და ბიბლიოთეკის გამგე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობა, რათა მოსწავლემ სწავლის დაწყებისას მარტივად შეძლოს ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სკოლის ფიზიკური გარემო, კერძოდ, ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, აღჭურვილი შესაბამისი თვალსაჩინოებებითა და რესურსებით, ადაპტირებული საპირფარეშოებითა და პანდუსებით, რესურსოთახით. იტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ბაღის აღსაზრდელათა ჩართულობას სასკოლო ღონისძიებებში, რომ შემდეგ პირველ კლასელს გაუმარტივდეს სკოლასთან ადაპტაცია.
სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა ამლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურეობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმოამდგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. მოსწავლეებს ენიშნებათ საშემოდგომო და სხვა ტიპის გამოცდების წინ საკონკულტაციო საათები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებულად ჩართულ მოსწავლეებს სკოლა გადასცემს სიგელს. მოსწავლეები იყენებენ სკოლის ბაზაზე არსებულ სასწავლო რესურსებს. რესურსები ასევე შექმნილია მოსწავლეთა მონაწილეობით.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლაში მოსწავლის მიღწევების გასაუმჯობესებელ კონსულტაციებს და მხარდაჭერას არეგულირებს სკოლის დებულება და შინაგანაწესი, რომლის მიხედვით თითოეული საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებაზე. კათედრის ანგარიშში მოცემულია , რომ კათედრის ყველა წევრი აქტიურად არის ჩართული სწავლა–სწავლების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ შეხვედრებს, სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ. ასევე, კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ერთმანეთში გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების და თანამედროვე მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. განიხილავენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, რის საფუძველზე გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ იგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე და შედეგების გაუმჯობესებაზე მორგებული პროექტები და კომპლექსური დავალებები სოლო შეფასებები, განმავითარებელი შეფასებები (დაზუსტება, წახალისება, რჩევა) . ხაზ გასასმელია ამ მიმართულებით სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი, რომელსაც ადასტურებს სხვადასხვა საგნების ინტერვენციის გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. აკადადემიური მიღწევების მხარდაჭერის მიზნით აღსანიშნავია სკოლის მიერ გაცემული მრავალფეროვანი სიგელები და მადლობის ბარათები, მათ შორის კლასის დამრიგებლის მიერ მოსწავლის მშობლისადმი გაგზავნილი მადლობის ბარათი, რომელშიც მადლიერებას გამოხატავს მისი შვილის სანიმუშო სწავლისა და პროექტებში და ღონისძიებებში აქტიური ჩართვისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის მიერ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით რეგულირდება სკოლის დებულებით. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ამ წესის მიხვედით მოსწავლეს უფლება აქვს ისარგებლოს კომპიუტერული ტექნიკის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, სპორტული ინფრასტრუქტურით, რესურს ოთახით და ბიბლიოთეკით . სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა მოსწავლეს საჭიროებისამებრ. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი,

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის უფლებების დროული რეალიზების საკითხები.

სკოლაში მოსწავლეებს სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდოგომოს ჩატარების წინ უტარდებათ საკონსულტაციო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: კლუბებით, ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებითა და ღონისძიებებით.

სკოლის თვითმართველობის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით სკოლაში შექმნილია სამი კლუბი:
1. „მკითხველთა კლუბი“;

2. „ხატვის მოყვარულთა კლუბი“;
3. „გარემოს დაცვის კლუბი“.

თვითმართველობას შექმნილი აქვს კლუბის დებულებები, გეგმები და განხორციელებული აქვს აქტივობები, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო-მასალით, გაკეთებული აქვს წლიური ანგარიში, სადაც ჩამოყალიბებული აქვს ის აქტივობები, რომელიც განახორციელა სასწავლო წლის განმავლობაში, წლიურ ანგარიშში კლუბების მუშაობა შეფასებულია დადებითად.

მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, სკოლის ინიციატივით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილია საგნობრივი კლუბები:

1. „ტექნოლოგების ელჩები (ისიტ);
2. „მომავალი ჩვენია“ (გეოგრაფია);
3. „თანადგომა“ (სამოქალაქო განათლება);
4. ‘’reader’s club” (ინგლისური);
5. „კულინარია“-გეოგრაფია;
6. „მკითხველთა კლუბი“- ბიბლიოთეკის.

კლუბები შეიქმნა დირექტორის და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით, სკოლამ წარმოადგინა ყველა კლუბის დებულება და წესდება. კლუბებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან მათი მომართვიანობის საფუძველზე. სკოლაში კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით განახორციელა სხვადასხვა საერთაშორისო, სასკოლო და მინი პროექტები კონფერენციები და ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულია ყველა მოსწავლე კლასების და საფეხურების მიხედვით. დაწყებითების საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდა სასკოლო ღონისძიება „შობა-ახალი წელი“, „ჩვენი მწვანე მეგობრები“, გავუფრთხილდეთ დედამიწას დასხვ. საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა კათედრამ განახორციელა ათეულობით სასწავლო და სოციალური პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „არა ძალადობას (ბულინგს)“, „არა ძალადობას“, „რეგენერაციული მედიცინა“, „ტანადობის დარღვევა“, „სკოლის როლი კიბერბულინგის საკითხებში“, „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“, „სხვადასხვა კულტურათა გავლენა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში“, „კულტურული

მემკვიდრეობა“, „ოპერა და მისი მონაპოვრები“, „პროპორციის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში“, „ ვარდების ხეივანის გაშენება“, მზის სისტემის პლანეტები“, „პაროლის ამოცნობა ალგორითმის დახმარებით“, „მინერალური წყალი“, „ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე“, „გადავრჩინოთ დაავადებული დედამიწა“, „გარემო ჩვენს ირგვლივ“და სხვა. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის მიზნით სკოლამ განახორციელა პროექტი “ მშობელი გაკვეთილზე“, პროექტის ფარგლებში მშობლებმა ისაუბრეს თავიანთ პროფესიებზე. სკოლამ აღბნიშნული პროექტი მიიჩნია ერთერთ საინტერესოდ და გეგმავს პროექტის კვლავ განხორციელებას მომდევნო წლებში.

სკოლა ტრადიციულად ახორციელებს სასკოლო კონფერენციებს მაგ. ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია „პითაგორას თეორემა“, „რამდენად მნიშვნელოვანია მათემატიკა“, „კულტურათაშორისი დიალოგები ელინიზმიდან გლობალიზაციამდე და სხვ. აღნიშნულ კონფერენციებთან მიმართებებში არსებობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოხმაურებები, მოსწწავლეთა თვითშეფასება და მასწავლებელთა უკუკავშირები.

მოსწავლის წახალისების მიზნით, ხელოვნების მიმართულებით, სკოლამ ჩაატარა მოსწავლის პერსონალური გამოფენა. აღნიშნული აქტივობის მიზანი იყო მოსწავლის როგორც ნიჭიერი ახალგაზრდის ნამუშევრების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა და მისი შემოქმედებითი უნარების აღიარება. ტარდებოდა გასვლითი გაკვეთილები და ვიზიტები მუზეუმებში და სამხატვრო გალერეაში, გაესაუბრენ მხატვარ დავით კაკაბაძეს. არაფორმალური პროექტი განხორციელდა კოლეჯ „იბერიაში“, ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ კოლეჯში მიმდინარე ფაკულტეტებს და პროფესიებს, აქტიურად იყო ჩართული სსსმ მოსწავლეც. განხორციელდა ვიზიტი თოჯინების თეატრში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თეატრალური, სამსახიობო უნარების განვითარებისთვის.

მოსწავლეთა ფინანსური განათლების მიზნით განხორციელდა პროექტი “აფლატინი/აფლატუნი - ბავშვის ფინანსური განათლება“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები.

სკოლა ჩართულია eTwinning საგანმანათლებლო საერთაშორისო პორტალზე, სადაც საბერძნეთის, რუმინეთის, მაკედონიის ბულგარეთის, თურქეთისა და საქართველოს მოსწავლეებთან ერთად განხორციელდა პროექტი „ასი ღიმილი“ /100 smiling პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ტრადიციული ეროვნული თამაშები. შესაბამისი პროექტების და ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტების დიდი ნაწილი სკოლას მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი, ნაწილს კი ვიზიტის ფარგლებში გავეცანით.

შესწავლილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მხარდაჭერას არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა ინიციატივებით დაგეგმილი ღონისძიებების მიმართ, ეს მიმართულება სკოლის ძლიერი მხარეა და სრულად შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორს.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა ახდენს დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ანალიზს, ისმენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების უკუკავშირს და ითვალისწინებს, რის საფუძველზეც ცვლის და აუმჯობესებს შესაბამის მომსახურებას

დასტურდება (მტკიცებულებები): მაგალითად მოსწავლეთა თვითმართველობის დებულებაში მეცხრე მუხლი ითვალისწინებს, რომ ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომაზე განხილვის შედეგად.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
შინაგანაწესი, სკოლის დებულება, ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა 2022-2023 სასწავლო წელი, ბიბლიოთეკის გეგმა 2022-2023 სასწავლო წელი, ესთეთიკური კათედრის წლიური ანგარიში 2022-2023 სასწავლო წელი, ადაპტირებული კომპლექსური დავალება (ქართულში, ბიოლოგიაში), განმავითარებელი კომენტარები ქართულში (დაზუსტება, წახალისება , რჩევა), ინტერვენციის გეგმები სხვადასხვა საგნებში 2023წ., მატერიალურ, რესურსებით სარგებლობის წესი, უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, საკოლო კლუბების -(დებულებები, წესდებები, გეგმები,რეფლექსიები, ფოტომასალა), პროექტის გეგმები, რეფლექსიები, კოლეგების უკუკავშირები, მოსწავლეთა თვითშეფასებები, მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში კარიერული დაგეგმვისვა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით სკოლას არა ერთი აქტივობა აქვს განხორციელებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამნამშრომლობა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული აკაკი წერეთელის სახელლობის ქუთაისის უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტი სკოლას სთავაზობს შესაძლებლობას მისმა კურსდავთავრებულებმა მოიპოვონ უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი, რომელსაც სკოლა გადასცემს პედსაპჭოს მიერ შერჩეულ კანდიდატურებს, გრანტი გაიცემა ამ უნივერსიტეში ჩარიცხული 3 სტუდენტიდან ერთზე ან გადანაწილდება სამივე სტუდენტზე. სკოლამ მემორანდუმი გააფორმა ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ფილეალის გიორგი მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლასთან, რომლის მიზანი მოსწავლეთა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგთან ზიარება და მრავალმხრივ განვითარებული ესთეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება და შესაბამისი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესებაა. პროფესის არჩევის მიზნით ხშირად ეწყობა ვიზიტები პროფესიულ კოლეჯ იბერიასთან სხვადასხვა პროფესიების გაცნობის მიზნით, ამ მხვრივ საინტერესოა სკოლის კლუბ „კულინარიის“ ვიზიტი , ვიზიტის დროს მოსწავლეები გაეცნენ პროგრამეს და სურვილი გამოთქვეს დაუფლებოდნენ დამატებით პროფესიას. სკოლა აქტიურად ზრუნავს სსსმ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს კარიერუული დაგეგმვა და პროფესიული მომსახურება, ამ მხვრივ აღსანიშნავია სკოლის მხარდაჭერით, სპეც მასწავლებლის აქტიურობა, მან დააინტერესა და ცნობიერება აუმაღლა სსსმ მოსწავლეს, რომელმაც დაგეგმა, რომ კოლეჯ იბერიაში დაეუფლება კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული სსსმ მოსწავლის მშობლებიც. სკოლამ მოსწავლეებში ფინანსური განათლების ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში მოიწვია ბანკის წარმომადგენელი, შეხვედრის სხელწოდებაა „მოიწვიე ფინედუ კლასში“, წარმომადგენელმა გააკეთა პრეზენტაცია ფინანსურ განათლებაზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ფეისბუგ

გვერდზე. ასევე სკოლაში ფინანსური ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა ტრენინგი „აფლატინი/აფლატუნი-ბავშვის ფინანსური განათლება“. ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლის მიერ განხორციელებული ყველა აქტვივობა, რომელიც მიმართულია კარიერული განვითარებისა და პროფესის არჩევისათვის გაცნობილი და მიწოდებულია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. სკოლა საფეხურების შესაბამისად მშობლებს და მოსწავლეებს აწვდის ყველა ინფორმაციიას პროფესიული და უმაღლესი სასწავლების პროგრამების, ფაკულტეტების და სპეციალობების შესახებ, რის საფუძველზეც მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სასწავლებლების შეთავაზებებს და გააკეთონ შესაბამისი არჩევანი. ამ მინართულებით განხორციელებულ ბევრ აქტივობაში თავად მოსწავლეთა მშობლებიც იყვნენ ჩართული, მაგ კოლეჯ იბერიაში მოსწავლეთა ვიზიტის დროს სსსმ. ახლდა მშობელიც. დასახელებული ვიზიტი განხორციელდა 2023 წელს.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს, ნებისმიერი უკუკავშირი, დამდგარი შედეგები და შესაბამისად დაგეგმოს აქტივობები, შემდგომი სასწავლო წლებისათვის, რატა უფრო სრულყოფილი გახადოს პროფესიის არჩევის პროცესი.

რჩევა : სასურველი იქნება სკოლამ განახორციელოს კვლევა და გაკეთოს ანალიზი , მის მიერ ჩატარელი აქტივობები, რამდენად ეხმარება მოსწავლეს შდეგის მიღწევაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- მემორანდუმი, სპეც მასწავლებლის წლიური ანგარიში 2023 წ., დანართი42 (მასწავლებლის რეფლექსია), დანართი 50 (კოლეჯ იბარიაში ვიზიტი ფოტო მასალა), დანართი 106 (ტრენინგის გეგმა, ფოტო მასალა)

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას აქვს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პრაქტიკა ინკლუზიურ მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებით, ეს გამოცდილება ათეულობით წლებს ითვლის, ყავს კომპეტენტური სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას. ამ ეტაპისთვის სკოლას ყავს 13 სსსმ მოსწავლე და 2 სპეც მასწავლებელი. შემუშავებული და დაცული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ყველა მექანიზმი. პროცედურები გარკვევით აქვს გაწერილი, დაწყებული მშობლის მიერ განცხადებით სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდზე მიმართვიდან. ისგ-ს შექმნითა და განხორციელებით და მონიტორინგითა და მიღწეული შედეგების შეფასებით დამთავრებული. სკოლას ბრძანებით აქვს შექმნილი ისგ ჯგუფები, რომლებიც მინიმუმ 4 ჯერ წელიწადში იკრიბებიან და განიხილავენ მოსწავლის მიღწევებს, სირთულეებსა და საჭიროებებს. საჭიროების შესაბამისად შეაქვთ ცვლილება ისგ-ში და აძლევენ რეკომენდაციას საგნის მასწავლებლებს. მნიშვნელოვანია, რომ ისგ შედგენილი აქვთ საგნების მიხედვით, სსსმ მოსწავლეები ჩართული არიან მოსწავლეებთან ერთად საგაკვეთილო პროცესში და ზოგჯერ გეგმის შესაბამისად უტარდებათ ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს-ოთახში. სკოლას აქვს ინტერვენციების დაგეგმვის პრაქტიკა, რომელიც დროში გაწერილია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები და გაზომვადია. სკოლას ასევე აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაც, სადაც ასევე დროშია გაწერილი შესასრულებელი საკითხები, ბიუჯეტი, შესაძენი რესურსები და სხვ. აქვს რესურს-ოთახი და ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო. სამოქმედო გეგმაში წერია, რომ სსსმ მოსწავლეები ასევე ჩართული არიან არაფორმალურ განათლებაში, სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო აქტივობებში. წარმოდგენილი მასალები **სრულიად შესაბამისობაშია** ინდიკატორთან.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსსმ მოსწავლის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით შექმნილი აქვთ ადაპტირებული გეგმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით. სისტემატურად მიმდინარეობს დაკვირვება მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე და ხდება შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება. ისგ ჯგუფის სხდომების მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეების მშობლებიც. სსსმ მოსწავლეთა განვითარება მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მიერ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ჩართულია მოსწავლეზე დაკვირვების და შესაბამისი

დაგეგმვის პროცესებში. მასწავლებლებს აქვთ ინფორმაციის ურთიერთ გაზიარების მექანიზმები, ეწყობა საგანმანათლებლო პრეზენტაციები სხვადასხვა დარღვევების შესახებ მაგ. აუტიზმის შესახებ, რაც ამაღლებს სასკოლო საზოგადოების ცნობიერებას. სპეც მასწავლებლებს აქვთ კვლევები ჩატარებული მოსწავლეთა ქცევების მართვის შესახებ, რასაც უზიარებენ ერთმანეთს, შესაბამისად ინდიკატორთან სრულად შესაბამისობაშია წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, დირექტორის ბრძანებები ისგ ჯგუფის შექმნაზე, ისგ ჯგუფის ოქმები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა-შეფასება, ინტერვენციები, სამოქმედო გეგმა, ადაპტირებული გეგმები, ისგ გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები საგნების მიხედვით, კოლეგებთან გაზიარების დოკუმენტები, პრეზენტაციები, მონიტორინგის ჯგუფი და დასკვნები, მასწავლებელთა ანგარიშები.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

   სკოლა ახორციელებს დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას გახანგრძლივებული ჯგუფების სახით, რომლის ფუნქცირების წესი გაწერილია სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სწავლების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

   ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ დამატებითი საგანმანათლებო მომსახურება ნებაყოფილებითია, ის ჩამოყალიბდა მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, რომლეთანაც გაფორმებულია მომსახურების შესაბამისი ხელშეკრულებები, სკოლას დაქირავებული ყავს მომსახურების გამწევი პირი კანონმდებლობის შესაბამისად და შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან.

ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას, რომელიც არ საჭიროებს კანონმდებლობით დადგენილ უფლების მოპოვებას, მომსახურების დროს დაცულია უსაფრთხოების ნორმები და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს , რომელიც რეგულირდება სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სწავლების დებულებით.

ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სწავლების დებულება, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N9 07.09.2022 სასწავლო წელი, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, მშობლებთან გაფორმებული შეთანხმების ხელშეკრულება, მშობელთა განცხადებები გახანგრძლივებულ მომსახურებაზე.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

1. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხური

სახელმწიფო ენა

2.1 კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

2022-2023 სასწავლო წლის მარტიდან კათედრამ გაიარა ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად შეიმუშავა კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა დახვეწასა და გაუმჯობესებასაც გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის დაგეგმვასთან დაკავშირებული კითხვარები, რომელთა მიხედვითაც მონაცემები შეგროვდა მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან. შეკითხვები ისე იყო დალაგებული, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო მათი ინტერესები და საჭიროებები. დაწყებითი კლასის სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნეს კურიკულუმის არსი და ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართება სასკოლო კურიკულუმთან. მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრას აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით კიდევ უფრო სიღრმისეულად დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. დაწყებითი კლასების კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად ესახებათ შეფასების სისტემის მაქსიმალურად დახვეწა, კომპლექსური დავალებების დახვეწა და სასწავლო პროცესში მათი აქტიურად გამოყენება, ასევე დიფერენცირებული სწავლების მეთოდების აქტიურად დანერგვა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე აანალიზებენ, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებების დაგეგმვაა საჭირო, სასწავლო პროგრამა რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს. ისისნი გამოთქვამენ მზაობას, რომ სასკოლო კურიკულუმში ასახონ სასკოლო საზოგადოების, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. კათედრა ყოველწლიურად ატარებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტირებას, რისთვისაც იყენებს წინასწარ შედგენილ ტესტებს, რომლებშიც ითვალისწინებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედგების ინდიკატორებს, შემდეგ კი განიხილავენ შედეგებს, რათა კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმზე მუშობის პროცესში, დაწყებითი კათედრის წევრებმა საგნობრივად გამოკვეთეს მოსწავლეთა ინტერესები, მათთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა თამაშითა და კეთებით, ინიციატივის გამოჩენით ახალი პროდუქტის შექმნა. სკოლა შეეცდება მაქსიმალურად ასახოს მათი ინტერესები და შესაძლებლობები კურიკულუმებში. ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში დაწყებით კლასებში მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნის (პოსტერი, მაკეტი, დიორამა, , კომიქსები . ..) გამოცდილება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, მასალები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება, რომ მასწავლებლებმა მშობლებს გაუზიარონ სასკოლო კურიკულუმის რაობა, გააცნონ კომპლექსური დავალებები და მისცენ საჭირო რეკომენდაციები. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით დამრიგებლები გამოიყენებენ მშობლების მესენჯერ-ჩატს. კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე პედაგოგები ჩაატარებენ ზეპირ გამოკითხვას მშობლებთან, თუ რა მოეწონათ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით გაითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომლებიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც მიმდინარეობს), ,,თიმსის პლათფორმის, ფეისბუკგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- კითხვარი მშობელთათვის
- მშობლის კითხვარი- ანალიზი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
   სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. კათედრას აქვს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა მუშაობს მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმების აგებაზე. სიღრმისეული სწავლის უზრუნველსაყოფად კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას (მოსწავლის შეფასების ანალიზზე დაყრდნობით), ეტაპობრივად აწვდიან სასწავლო მასალას, კომპლექსური დავალებებით საფუძვლიანად განიხილება ახალი საკითხების შესაბამისი სამიზნე ცნებები როგორც კოლეგებთან, ასევე მშობლებთან (მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების პირობა, მშობლებს -მშობლის ბარათები). დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
   კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია

მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცეში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი , პოსტერი, ნახატი და ა.შ.). კათედრას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეცმასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას. სკოლას ემსახურებიან ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სპეცმასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული განრიგით სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს ინდივიდუალურად, იყენებს რესურს-ოთახს, ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს (ბრაილის შრიფტი და თვალსაჩინოებები). სკოლის დაწყებისათნავე ისგ-ს ჯგუფის წევრები, სპეც მასწავლებლები, დამრიგებლები და საგნის მასწავლებელი, ასევე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადგენს ისგ გეგმას, იხილავს გრძელვადიან მიზანს, მოკლევადიან მიზნებს და მიზნის მისაღწევ აქტვობებს. სწავლა - სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს: ადაპტირებულ გარემოს,
ინდივიდუალურ გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებელი ზრუნავს სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზოს მოსწავლეს, რომ გაზარდოს მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეუწყოს ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მასწავლებელი ახდენს დიფერენცირებას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, შესაძლებლობიდან გამომდინარე შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე

მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ (შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომია) შეფასებას, სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით დახასიათებას, რომელშიც აფასებენ მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონეს, მის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. კლასის დამრიგებელი საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს წერს შემაჯამებელ წერილობით შეფასებას. სამომავლოდ იგეგმება განმავითრებელი შეფასების დახვეწა და მუშაობა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასება განმავითარებელია, რომელიც მოიცავს, როგორც ზეპირ ასევე წერილობით კომენტარს. შეფასება გრძელვადიან მიზანზეა ორიენტირებული და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვისაა. მასწავლებლები წინასწარ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებას განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თაობაზე. მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელ შეფასების სქემებს, მეთოდებსა და აქტივობებს (რუბრიკები, მაორგანიზებელი ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები ...). თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები. წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე განიხილება მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ანგარიშები მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. რომელიც აისახება პედ. საბჭოს ანგარიშში, რომლის საფუძველზეც გაკეთდება ანალიზი მომდევნო სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დასაგეგმად. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება გადამუშავებული კურიკულუმი. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ისგ ჯგუფის ანგარიში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები

- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის

კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

დაწყებით კათედრაზე გამჭოლი ღირებულებებისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით სწავლა-სწავლების ეტაპი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და აქცენტი კეთდება ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლეს უბიძგებს სწავლის სწავლისკენ. მოსწავლე თავად არის ჩართული სასწავლო პროცესში. კათედრაზე ხორციელდება სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სოციალური პროექტი.

- სასწავლო პროექტები - ,,ჩვენი ოთხფეხა მეგობრები“, ,,საშობაო ტრადიციები საქართველოს კუთხეებში“.
- სასკოლო პროექტები - „სკოლის როლი კიბერუსაფრთხოების საკითხებში“.
- არაფორმალური განათლება - ექსკურსიები, აქცია ,,დარგე და გარგებს“. მოსწავლეები ჩაერთვნენ „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებაში.

- ბაშვები მონაწილეობენ კლუბურ მუშაობაში - ,,იდეატორთა კლუბი“, ,,კულინარიის კლუბი“, ,,ინტელექტუალები მომავლიდან“ და ა.შ.

კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება უმეტესად ხორციელდება ერთი საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას, ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კათედრა გეგმავს, რომ კლასგარეშე და არაფორმალურ აქტივობებშიც გააქტიუროს ეს კატეგორიები და უფრო მეტი დატვირთვა გააკეთოს ისეთ სწავლებაზე, რომელიც პროცედურულ და პირობისეულ უნარებს უფრო გააქტიურებს და განავითარებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ეყრდნიბა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას და იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად სწავლების შესაძლებლობას. ამ მიზნით კათედრაზე ხორციელდება სასკოლო, სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ხორციელდება სხვადასხვა საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, საგნის ფარგლებში ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება

საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლებს ხშირად აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები ისტორიისა და სამოქალაქოს საგნებთან. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**
   სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტები. საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნები სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებაში სამიზნე ცნება მნიშვნელოვანი კომპონენტია. მას მიემართება მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საკვანძო შეკითხვები. მკვიდრი წარმოდგენები არის განზოგადებული დებულება, რომელიც მოსწავლეს ეხმარება მიზნის მიღწევაში. ქვეცნებებზე დაყრდნობით მუშავდება სამიზნე ცნება, ხოლო საკვანძო შეკითხვა ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის დამუშავებაში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
   მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება ხდება საგნობრივ კონტექსტებზე დაყრდნობით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეული

აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები და ასისტენტი. განხორციელებულია მრავალფეროვანი აქტივობები, კერძოდ, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო პროექტში „სკოლის როლი კიბერუსაფრთხოების საკითხებში“. მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდა არაერთი სოციალური პროექტი: ,,ასი ღიმილი“, ,,მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ,, ტვინების ბრძოლა“, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. დაწყებით საფეხურზე სკოლა ეხმარება მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს თვითრეგულაციის, თვითცნობიერების, სოციალური ცნობიერების, პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის უნარები. აღნიშნული მიმართულება პრიორიტეტულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ზუსტად განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

დაწყებითი საფეხურის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. მათ შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩართულობაზე, პასუხისმგებლობასა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემაზე. მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რათა მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და წარმოების ვერიფიკაცია.
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის მექანიზმში განხილულია შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე შესაბამისი ანგარიშების წარდგენასა და უკუკავშირს. ვერიფიკაციის დოკუმენტი მოიცავს შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმას. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის

მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. თუმცა სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკამყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ, სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროექტები

- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
   დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი

მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლე თავს იგრძნობს კომფორტულად. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას. სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**
   კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**
   კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საკლუბო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
   სახელმწიფო ენის კათედრაზე ამჟამად ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. მონიტორინგისა და შეფასების დაწყებამდე შემუშავდება მეთოდოლიგიური ჩარჩო, რათა გამოიკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შედეგები და ანალიზის

პროცესები. მიღებული შდეგები აისახება კურიკულუმში სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენის კათედრამ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
სახელმწიფო ენის კათედრა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ კათედრა კურიკულუმში მონაცემთა შეგროვების გასაუმჯობესებლად გაწერს სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმს. ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასებისსისტემა

მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ
შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.
შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტიფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში.შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოცემულ ეტაპზე დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრას არ აქვთ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, მიმდინარეობს დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება.ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ აქვთ მზაობა და ესმით მისი მნიშვნელობა . ამ მხრივ, სკოლა გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიისთვის გამოიყენოს forms-ის ფორმის კითხვარი სასკოლო საზოგადოებაში. საკუთარ ანალიზებზე

დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე;

მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კათედრა გეგმავს, რომ მომდევნო ს/წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინონ ყველა ხარვეზი თუ მიგნება, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

მათემატიკა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის სასწავლო გეგმით და კათედრების დებულებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს, განსხვავებულ ხედვებსა და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან , კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. კათედრა იკრიბებოდა ინტენსიურად. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მშობლებთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

(დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა)

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს და მზად არიან სასწავლო პროცსი დაგეგმონ ამ მოთხოვნების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა). **ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა).
ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის

გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში სარემედიაციო პროგრამაშიც რთავენ მოსწავლეებს შედეგების გაუმჯობესების მიზნით. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა).

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა).

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა)

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმები (1-4 და 5-6 კლ)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (5-6 კლასისთვის)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- განხორციელებული კომპლექსური დავალება
- ისგ
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის

შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას).

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

დაწყებითის კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის

ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- კომპლექსური დავალება
- მოსწავლის ნამუშევრები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების

გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, ამ ეტაპზე სკოლაში ვერიფიკაცია გამოიყენება განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების მიხედვით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები (1-4 და 5-6 კლასის მათემატიკაში)
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლი სასწავლო გეგმის პროექტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, სკოლა აქტიურად არის ჩართული USAID დაწყებითი განათლების პროექტში და ლიდერი მასწავლებლები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე აცნობენ კოლეგებს პროექტით გათვალისწინებულ სიახლეებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მის მიერ მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.
ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა).
ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- კათედრის ოქმი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსური დავალებების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სასკოლო საზოგადოების წევრები მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სკოლის სამომავლო საქმიანობას.
ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. როგორც აღინიშნა, განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას.
ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს
სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება.
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.
ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული.
ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია

დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.
ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო საწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. რეკომენდირებულია ყოველივე ზემოთაღნიშნული აღიწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა (დასტურდება სტანდარტთან შესაბამისობა)

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

უცხო ენა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს იმ მეთოდებით, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში გათვალისწინებულია ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები: კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. **ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაბამისად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი უცხოური ენების კათედრაზე მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებსდა შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების

გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც მიმდინარეობს), ,,თიმსის“ პლატფორმის, ფეისბუკგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით.
ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა**
სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, ინგლისური ენის I, II, IV, V და რუსული ენის V, VI კლასების კურიკულუმებში, სავალდებულო კომპონენტებს შორის ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპონენტი „მაგალითები შედარებისთვის“. ინგლისური ენის III, V, VI კლასების კურიკულუმებში, სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულ ზოგიერთი კომპლექსური დავალებების ფარგლებში არ არის ასახული შეაბამისი სამიზნე ცნებები: სამეტყველო ქმედება / კულტურათა დიალოგი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფერონი გახადოს დაწყებითი კლასების კომპლექსური დავალებები, წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალუდური მიზნების როლს და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებას. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. აღნიშნულზე დაყრდნობით და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები.
კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში თითოეულ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად

მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა).
აქედან გამომდინარე, უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კერძო (კონკრეტული თემის შესაბამისად) ნიმუშები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესცნებებთან მიმართებით.
კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, როგორ მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. შესაბამისად, აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**
ინდიკატორის მტკიცებულებების სახით, სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი და პედაგოგიური რეფლექსიები, მასწავლებელთა/დამრიგებელთა სემესტრული და წლიური ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სპეციალური მასწავლებლის წლიური ანგარიში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების

შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ანგარიში შემაჯამებელი შეხვედრის " გაზიარება უკეთესი პრაქტიკისათვის" შესახებ;
- ინკლუზიური განათლებიოს სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში,
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის:
- „სოლო" ტაქსონომიის გამოყენების მაგალითი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**
   მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმები მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, ითვინინგის პროექტი, შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად.

ამასთანავე, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა Vკლასი - პრეზენტაცია თემაზე „წელიწადის დროები“; ინგლისური ენა III კლასში - ფოტო სურათების პრეზენტაცია „ჩემი საცხოვრებელი სახლი“...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., ინგლისური ენის VI კლასში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია “მინი დასურათებული ლექსიკონის შექმნა, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც “მაგალითი შედარებისთვის” ილუსტრირებული ლექსიკონის მახასიათებლები და შესაბამისი ნიმუში.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის

კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების დროს აქცენტს აკეთებენ იმ საკვანძო შეკითხვებზე, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. ამასთანავე, კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილ მასალებში აისახება სწავლის სწავლა მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა

სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-4 კლასის დავალება „მოიძიე და წარუდგინე თანატოლებს ინფორმაცია იმ ქვეყნის შესახებ სადაც გსურს გაატარო ზაფხულის ერთ კვირა. რა ქვია დედაქალაქს? რა ენაზე საუბრობენ ?როგორი ამინდია ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი? რომელია სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა? და სხვა“ და რუსული ენის მე-6 კლასის დავალება „ მოამზადე კომიქსი შენი საყვარელი ზღაპრის გმირის შესახებ და წარადგინე კლასის წინაშე.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 წწ);
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 წწ);
- კომპლექსური დავალების მატრიცა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები;
- სასწავლო პროექტი;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

□

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის.

   შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ

მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**
კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო- ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველძე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**
სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე არ წარმოუდგენიათ უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები), მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების

აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგებილი დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები). თუმცა კათედრის წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

   ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა პედაგოგთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

- დაწყებითი საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირელად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა , საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საქმიანობები.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთ თანამშრომლობითი ურთიერთობები.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დადასტურება (კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები).

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კათედრის მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი დაშეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებშიმუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.
ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას
როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების

მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.
ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი ურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V, VI კლასები) შეფასებებით. უკვე შექმნილი სანიმუშო ზოგადი ხასიათის განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამანავითარებელ

შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი ურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და აქტივობების ჩამონათვალი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის შემუშავება, აღწერილია პროცესებში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი ხდება კათედრებზე მასწავლებლების მიერ

ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო კურიკულუმის შექმნაზე მომუშავე გუნდი, რომელიც განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის სამუშაო ვერსიის შემუშავებას, შემდგომ ხდება სასკოლო საზოგადოებაში განხილვა და გაზიარა სხვადასხვა საშუალებით (სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, მშობელთა კრებები).

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა მოიცავს სამივე საფეხურს, აღნიშნულ სკოლას აქვს გავლილი სამდღიანი ქოუჩინგის პროცესი, შექმნილი ჰქონდათ კურიკულუმის ჩარჩოები, თუმცა გარკვეული ხარვეზებით, რომლის რედაქტირებაც მოხდა ვიზიტის პირველ დღეს. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს განვითარებული აქვთ თანამშრომლობითი უნარები, მზაობა სიახლეების მისაღებად. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ხდება წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აღწერა, გაანალიზება და კურიკულუმის შემდგომი განვითარება. ვიზიტის დროს, დაკვირვებისა და ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კათედრის წევრები მზად არიან გამოწვევებისთვის, შექმნილია მეთოდოლოგია, გაწერილია საგნობრივი კურიკულუმები, სასკოლო თემის საჭიროებაზე მორგებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტი.
ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები
ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სასკოლო თემის პრიორიტეტები, რაც ჩანს განხორციელებულ პროექტებში. ამას მოწმობს ვიზიტის დროს გაზიარებული არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ამსახველი მასალა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, ისგ გეგმები, დიფერენცირებული მიდგომები, რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმის ჩარჩოში აღწერილი კონტექსტ-მაგალითებად აღებულია მოსწავლისათვის საინტერესო, პრობლემაზე ორინტირებული მაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. ვიზიტის დროს ვნახეთ ბევრი საინტერესო მასალა, რითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე და ეს ინტერესები ასახულია სასკოლო კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
სასკოლო კურიკულუმები სასკოლო თემის გამოცდილების თავმოყრისა და გაანალიზების საფუძველზე იქმნება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ გავლილი სამდღიანი ქოუჩინგი სხვა ავტორიზაციის პროცესში ჩართულ პედაგოგების მსგავსად, თუცა, მათ მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში იყო რიგი ხარვეზები, რომლების რედაქტირებაც მოვახდინეთ პირველ დღეს. კათედრაზე კოლეგები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, იმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოზე, სადაც მოცემული იყო თემები, ცნება/ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი/ძირითადი საკითხი, რესურსი. ჩარჩოს დარჩენილ ნაწილებს შეავსებენ სექტემბრამდე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,

საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, რომელთა გამოკვეთა მოხდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის გზით, გამოკითხვის შედეგების ანალიზის, ასევე გასული წლის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები იკრიბებიან კათედრაზე, მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, გამოკვეთენ როგორც კლასის, ისე თითოეული მოსწავლის საჭიროებას, მათზე დაფუძნებით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. მშობელთა ჩართულობა დასტურდება შემუშავებულ კურიკულუმში დაგეგმილი აქტივობებიდან, მაგ.საგნის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი შეხვედრები მშობლებთან, კომპლექსური დავალების ბარათებიდან. ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს იყენებენ, მაგალითად, ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური ქსელის საშუალებით მშობელთა დახურულ ჯგუფებში, კომპლექსური დავალებების პირობის აღება ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი. მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა მათი ინტერესებიდან გამომდინარე ჩანს კურიკულუმით დაგეგმილ სხვადასხვა დამატებითი, ფორმალური თუ არაფორმალური მომსახურებების ჩამონათვალიდან, მაგ. საგნობრივი კლუბებიდან, გაზიარებული კურიკულუმის განხილვისას მშობელთა უკუკავშირებიდან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა გეგმავს მომავალ სასწავლო წელს კლუბის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

პედაგოგების მიერ განხილული და უკვე შემუშავებული კურიკულუმები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში, აგრეთვე თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილია, თუ როგორ ხდება კურიკულუმის და სხვა ინფორმაციის გაზიარება სასკოლო თემისათვის. დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, დაგეგმილ სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებს. საგნის მასწავლებლები, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ამზადებენ ბარათებს, რომლის საშუალებითაც ხდება მშობლების ინფორმირება თიმსის პლატფორმაზე, ფეისბუქ-გვერდით. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება განახლებული კურიკულუმების განთავსება ვებგვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა გაიზიაროს საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი;

- ისგ გეგმა; განხორციელებული აქტივობების ანგარიში, დანერგილი კომპლექსური დავალებების შეფასება, განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები, ბარათები.
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- მშობელთან შეხვედრის ოქმები

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას
საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელშიც კონტექსტ-მაგალითი მოსწავლისთვის ნაცნობი გამოცდილებაა, შეიცავს პრობლემას, დილემას, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წარმოდგენილ ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდებოდა(2,4კლასები), რაც ხელს შეუშლის მოსწავლის მიერ თემის მთლიანობაში აღქმას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. რესურსი და საკითხები შესავსებია 1-4 კლასის ჩარჩოში. მეხუთე და მეექვსე კლასების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია თემები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რესურსი. დანარჩენი სვეტების შევსება მოხდება სასწავლო წლის დაწყებამდე. მთლიანობაში, პედაგოგებს კურიკულუმის ჩარჩოს აგების პრინციპი და შინაარსი გააზრებული აქვთ, რეკომენდაციის სახით - გადახედონ საგნობრივ სტანდარტს და სექტემბრისათვის დახვეწონ კურიკულუმები.
ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ -მაგალითები, რაც მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. შერჩეული აქვთ კომპლექსური დავალები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. ასევე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უხდება მაკრო ცნებების გააზრება, ვნახე მოსწავლეთა მიერ შექმნილი ბევრი საინტერესო პროდუქტი. დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოეთხოვება პროდუქტის შექმნა, რაც მისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, რიგი დავალებები (მაგ. შექმნან ფოტოკოლაჟი,,მცენარეთა სასიცოცხლო ციკლზე'') ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ჩანაწერი არ არის ფორმალური და კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და მათი ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ამ აღნიშნული ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. მაგ. პროექტები ,,დავიცვათ გარემო'', ,,გავუფრთხილდეთ დედამიწას'', ,,ჩემი მწვანე მეგობრები".

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რაც გულისხმობს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა.

ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. თითოეული კათედრის მიერ განხილული, გაანალიზებული, შერჩეული, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ჩაშენდა კურიკულუმებში. კონტექსტ-მაგალითებში გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მასზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში, აღნიშნული მიდგომა უნდა აისახოს თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან.
სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელსაც ითვალისწინებენ პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, ასევე ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე. ვიზიტის დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სადაც ჩანდა ერთი და იგივე საკითხზე შექმნილი, განსხვავებული სირთულის დავალებები, სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი(ბუკლეტი, პოსტერი), შემაჯამებელი დავალების ტესტები, გათვლილი სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე, რომლებიც იძლეოდა დიფერენცირების საშუალებას, სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ ისგ გეგმა. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები წინა წლის კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შექმნიან მომდევნო წლის კომპლექსურ დავალებებს. გაითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაბამისად მოახდენენ როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე კომპლექსურების ადაპტირებას საკუთარ მოსწავლეებზე.
ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს
შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. მასწავლებლები ხშირად იყენებენ მიმდინარე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა SOLO ტაქსონომია, რომლითაც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნებების მიმართ და შესაბამისად მიემართება საფეხურის შედეგებისკენ. SOLO ტაქსონომიის რუბრიკით შეფასებისას წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება, რაც მათთან თანამშრომლობის ერთგვარ წინაპირობას ქმნის. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.
ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.
საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება, რაც ჩანს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების რეფლექსიაში, მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზში, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზში; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში.
ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები და კონტექსტ -მაგალითები, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პრობლემის, დილემის გადაჭრაზე, მოსწავლეებს დააფიქრებს, შემოქმედებით პროცესში ჩართავს, ერთი და იგივე კონტექსტ-მაგალითი მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განიხილონ, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა მოძებნონ, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნან სხვადასხვა ვარიაციები , რაც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა, მათ შორის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებით უნარებს ავითარებს პროდუქტის შექმნაც, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს. დათვალიერების შედაგად აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს ლაბორატორიები(ქიმიის, ფიზიკა-ბიოლოგიის). აღჭურვილი რეაქტივებით, ჭურჭლით, ამწოვი კარადით. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს ინტერაქტიური, განახლებადი და შემეცნებითი.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

მასწავლებლების გასაუბრებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შემადგენელი კონტექსტ-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ მასზე დაყრდნობით ხდება ცოდნის კონსტრუირების პროცესი, ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ვიზიტის დროს პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში ჩანდა, რომ ყოველი შემდეგი დავალება დაფუძნებული იყო წინა დავალებაზე, ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას.

სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის საშუალება, ანუ ის თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი სწავლის პროცესზე. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, კომპლექსური დავალების აქტივობები და სტრატეგიები იმგვარადაა შედგენილი, რომ მოსწავლეს ეხმარება საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში. სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში იქმნება ეს კომპლექსური ბუნების დავალებები თუ სხვა მიმდინარე აქტივობები, წახალისებული უნდა იყოს მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები თუ კომპლექსური ბუნების დავალების პრეზენტაცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.მაგ. მე-3 კლასში ბუნებისმეტყველების პედაგოგმა განახორციელა კომპლექსური დავალება საქართველოს გეოგრაფიულ გარემოზე და საქართველოს ფლორაზე, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლე დაგეგმილი აქტივობებიდან იღებს საკითხთან დაკავშირებულ დაკლარაციულ ცოდნას, ფაქტობრივი ცოდნის საფუძველზე მსჯელობს მათ გამოყენებაზე, რაც ჩანდა მოსწავლის მიერ შექმნილ პოსტერიდან. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. პირობისეულ ცოდნას ღებულობს მოსწავლე საგნობრივ წრეებში, სხვადასხვა სახის დამატებით ღონისძიებებში ჩართვისას, პროექტების განხორციელებისას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობის შექმნასა და განხორციელებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ყველა კონტექსტ-მაგალითი არ არის შევსებული, მაგრამ მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, აქვთ მზაობა,რომ ახალი სასწავლო წლისათვის ყველა კომპლექსური დავალება იქნება ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს.

ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზება ჩანს პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების შემაჯამებელი ტესტებში, რომლებიც შედგენილია გრძელვადიანი მიზნების- სამიზნე ცნებების მიმართ, დავალებებში, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიის გააზრებას ემსახურება, შესაბამისად ხდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული სამიზნე ცოდნების ურთიერთდაკავშირებულად შესწავლა.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები
- პედაგოგის მიერ განხორციელებული აქტივობები
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით თითოეულ საგანში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ასახულია საგნის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლის მიერ შექმნილ ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. კომპლექსურ დავალებაში შეფასების კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ, მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, შესაბამისად ცნებებთან დაკავშირებულ ცოდნას გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემებს შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები-ცნებები ქვეცნებები, თუმცა ყველა თემის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიალური, რაც ითვალისწინებს ფილმების ჩვენებასაც, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება, ამასთანავე მათში აღძრავს ემპათიის გრძნობას. გარდა ამისა, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი ახროვნების განვითარებას. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს სხვადასხვა კლუბები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარებულია მრავალფეროვანი აქტივობები, სკოლა მთელი სასწავლო წლის მანძილზე ახორციელებს სასკოლო პროექტებს რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან კლასგარეშე აქტივობებს. ვინაიდან, სკოლას აქვს ლაბორატორიები, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და კეთებით სწავლებაში ჩართულობის გასაძლიერებლად მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში,
ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ჰოლისტური განვითარება-ეს არის მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება, ამიტომ შეფასება მიმართული უნდა იყოს მისი როგორც კოგნიტური, ისე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია ინფორმაცია სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. საიდანაც ჩანს რომ სკოლა იაზრებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როლს სწავლა - სწავლების პროცესში, ასევე - თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მნიშვნელობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად.

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში. გაკვეთილის აქტივობები, შემაჯამებელის ტესტები, საშინაო დავალებები მოიცავს კოგნიტურ ოპერაციებს(ამოცნობა, კლასიფიცირება, სწავლის სხვადასხვა სტრატეგიებს, დაგეგმვას). მოსწავლეთათა ჩართვა პროექტებში, თუმცა, კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით, აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, გამოავლენენ მოსწავლეთა საჭიროებებს(კოგნიტურ, სოციალური), კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და მათი გათვალისწინებით შეადგენენ ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლას აქვს წარმოდგენილი (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმეტაცია, მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სახვით და გამოყენებით ხერლოვნებაში მესამე კლასი. მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია კომპლექსური დავალებები/შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას, უნდა აღინიშნოს რომ საკლასო გარემო აღჭურვილია ტექნიკურად . მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალა-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა) . შესაბამისად დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორტან მიმართების დგინდება შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

მტკიცებულებების სახით სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლას ესთეტიკის კათედრაზე აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფესაბის რუბრიკები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კომპლექსური დავალების ნაწილი კი სადაც მოსწავლემ პრეზენტაციის დროს უნდა წარმოადგინოს ავტომატურად მოიცავს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმს ,

ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი თითოეულ მოსწავლეს ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის საჭირეობების კვლევის ანალიზში სკოლა აკეთებს თვითრეფლექსიას და წარმოაგდენს ინტერვენციების გზებს, სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში, ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს იკვეთება რომ (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) , სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოაგენს შუალედურ სასწავლო მიზანს. ასევე სკოლას წარმოაგდენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათები კერძოდ კი (მუსიკა მეხუთე კლასი) კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესს და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანათ , რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმიოს ჩარჩო,
- მუსიკა მეხუთე კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ინდიკატორთან დადასტურდება შესაბამისობა

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

უნდა აღინიშნოს რომ დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ასევე მუსიკაში კომპლექსურ დავალებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომელიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. ასევე კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. ამაზე მეხუთე კლასის კომპლექსური დავალების ბარეთებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომელიც წინა სასწავლო წელს განხორციელდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.) თუმცა არ იკვითება თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა) დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლა წარმოაგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობემ თუ როგორ უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისაობა.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობასია.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-2024 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი ჩარჩო კურიკულუმი მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.
- კომპლექსური დავალების ბარათი (მუსიკა /სახვითი და გამოყენებით ხელოვნება, მეხუთე კლასი).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული

მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველძე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში, სკოლას წარმოდგენილი აქვს (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) შეფასების რუბრიკები როგორც მუსიკაში ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწალებლთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე დასტურდება შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდიკატორთან შესაბამისია.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4..შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის მიერ გადმოგზავნი დოკუმენტაციაში, სადაც არის წარმოდგენილი(მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაკვირვების შედეგაგად სანობრივი კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს, დროს ნათალად ვლინდება რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მეთოდი, სკოლას/ კათედრას ჰყავს ამ საკითხთან პასუხისმგებელი პირები, აქვს შერჩევის პრინციპი, წინასწარ მოიზრებს არსებულ რისკებს, აქვს დოკუმენტაცია სადაც წარმოდგენილია დასვნის ფორმები, რეფლექსია, რაც ამყარებს მათ ინტერვიუს დროს მსჯელობას, ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.
ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკამყოფილებული.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გარკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების სეფასების ანალიზს, მათ აქცთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული, ისინი ყოველივე ამაზე დაკვირვებით ახდენენ მონიტორინგს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით . ყოველივე ზემოთხსენებულით დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა
ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკამყოფილებული.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
მასწავლებლებთან ინტუერვის დროს გამოიკვეთა რომ გარემო რომელიც არის სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლსში სასწავლო პრეცესში შექმნილი მოსწავლეზეა ორიენტირებულ, მის მიმღებლობაზე გათვალისწინებით არის შექმნილი კურიკულუმიც, რონელიც წინასწარ არის შედგენილი , არსებული მსჯელობის გათვალისწინებით და ასევე კურიკულუმზე დაკვირვებით დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კურიკულუმის ჩარჩოზე დაკვირვებამ (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მსჯელობამ ნათალდ გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე არის ორიენტირებული, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენის დროს სწორედ მოსწავლის შესაძლებლობები დგინდა და შემდეგ ისე ხდება მისი შედგენა , გრძელვადიანი მიზანი და შეალედური სასწრავლო პროცესები, ყვლეფერი მოსწავლეზე ორიენტერებულად არის ასახული , ყოველივე ამ მსჯელობიდან გამომდინარე დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

კურიკულუმის ჩარჩოს (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) გაცნობისას და ასევე მასწავლებლებთან საუბრისას მკაფიოდ ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ზოგადად კომპლექსური დავალებები რომლებიც შეალედურ სასწავლო მიზნად არის დასახული, მოითხოვს თანამშრომლობით ურთიერთობას და კომუნიკაციას. ზემოთხსენებულზე მსჯელობის შედეგად დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მასწავლეებთან ინტერვიუს დროს და ასევე არსებულ დოკუმენტებზე დაკვირვების შედეგად , (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი,) შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ სკოლაში, კლასში და თითოეულ მოსწავლეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო და კლიმატი, რომელიც აისახება მოსწავლის როგორც აკადემიურ მოსწავლეებზე, ასევე მის ფსიქოსოციალურ პიროვნულ განვითარებაზე, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის თვითშეფასება

- კურიკულუმის ჩარჩო
- კომპლექსური დავალების ბარათი (მუსიკა მეხუთე კლასი);
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მეექვსე კლასი .
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას ზეპირსიტყვიერად და ასევე ყოველივეს ასახავს კურიკულუმში, კათედრა ერთობლივად მუშაობს ამ საკითხად მიმართებაში. ცვლის უკვე არსებულ კურიკულუმს ან ადგენს ახალს, ითვალისწინებს იმ მიგნებებს და იმ შედეგებს, რომელიც განხორციელდა. მოიაზრებს როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას, რომელიც განპირობებულია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: მონაცემების მიზნობრიობის, მათი შეგროვებისა და ვადების განსაზღვრით, რაც ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება.ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება ,თუმცა ინსტრუმენტები თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს.
ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, მასწავლებლებტან საუბრის დროს გამოიკვეთა , რომ

მონიტორინგის მთავარი მიზანია საზოგადოების მხარდაწერა და დახმარება, კათედრაზე განიხილება ყველა მასწავლებლის მოსაზრება და დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ და ისე ხდება გადაწყვეტილების მიღება. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3..მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალება იმის რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდინტიფიცერება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები, სკოლა აქტიურად იყენებს კურიკულუმს მონიტორინს რაზეც წინა წელს შექმნილი კურიკუმულის ჩარჩოების შედარება ახალი სასწავლო წლის 2023-2024 კურიკულუმის ჩარჩო (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებით ხელოვნება) მეტყველებსბ . ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად დადგინდა ინდიკატორტან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- განმავითარებლი-შეფასებები
- კომპლექსური დავალების ბარათი მეხუთე კლასში
- კომპლექსური დავალების ბარათი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მეექვსე კლასში
- განმსაზღვრელი შეფასება_ განმავითარებლი შეფასებები დონეების მიხედვით.
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
როგორც ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით.
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
როგორც სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ სკოლა 2022-23 წელს იყენებდა შეფასების განმავითარებელ რუბრიკებს I-IV კლასებში, მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აძლევდნენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, ხოლო სემესტრში ორჯერ აკეთებდნენ მოსწავლეთა შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს ეხმარებოდა მიეღო ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. რასც შეეხება V-VI კლასების შეფასების დროს სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით იგივე დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის უკეთ დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. იკვეთება მასწავლებლების მზაობა ამ ინდიკატორთან მიმარტებაში.
ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
როგორც სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ სკოლა 2022-23 წელს იყენებდა შეფასების განმავითარებელ რუბრიკებს I-IV კლასებში, მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აძლევდნენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, ხოლო სემესტრში ორჯერ აკეთებდნენ მოსწავლეთა შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს ეხმარებოდა მიეღო ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია. მასწავლებელბი ახდენენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს, ხდება შეფასების შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და სკოლის მიერ მტკიცებულებამ ცხადყო, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვაისწინებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ სკოლა იყენებს დიფერენცირებულ სწავლის მეთოდებს რაზე დაყრნდობითაც სკოლა ადგენს შეფასების რუბრიკებს (განმავითარებელი/განმსაზღვრელი) , ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაყრდნობით დადგინდა ინდიკატორებტან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- განმავითარებლი-შეფასებები
- განმსაზღვრელი შეფასება და განმავითარებლი შეფასებები დონეების მიხედვით.
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში იკითხება რომ ყოველივე შემუშავების პროცესშია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად თანამშრომლობენ ქოუჩებთან, აქვთ მათგან მხარდაჭერა და თანამშომლობით ინერგება სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. ამ ეტაპზე აქტიურად მიმიდინარეობს სამუშაო პროცესი კუკრიკულუმების დახვეწაზე.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N 10 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო(მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ასევე წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ჩარჩო, შეფასების კრიტერიულები, კომპლექსური დავალება ცხადყოფს , რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნის გამოცდილებს , სკოლა ყოველწლიურად ახდენს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას, ამ მოსაზრებას ამყარებს მასწავლებლებთან ინტერვიუ, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაყრდნობით დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- საკოლის თვითშეფასების ფორმა
- სასკოლო კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სპორტი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   სკოლის თვითშეფასების კითხვარის გაცნობისას და პედაგოგებთან ინტერვიუთი, ჩანს სკოლაში კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის ფიზიკური აღზრდა და სპორტის პედაგოგები თანამრომლობით, კათედრის წევრებთან კოლეგიალური მუშაობით, მოსწავლეების საჭიროებებისა და სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით გეგმავენ და შეიმუშავებენ კურიკულუმებს, რომელიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საშუალო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები (შემუშავებულია 10-12 კლასებისათვის), რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს . კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

   ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეულ მრავალფეროვანი სასწავლო თემებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, , რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის დროს, ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობეს, მათ ინტერესებს, წინარე გამოცდილებასა და სკოლის ინფრასტუქტურას.. სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, და კათედრის დოკუმენტაციიდანაც ჩანს , რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. სასწავლო პროცესს გეგემავენ, რეალურად განხორციელებადი , სკოლის შესაძლებლობიდან გამომდინარე თემებისგან, იყენებენ შესაბამის გზამკვლევებს სახეობების მიხედვით. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ასეთი მეთოდით გააგრძელებენ კურიკულუმების შემუშავების პროცესს.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა და თვითშეფასების ფორმის ნარატივიც ადასტურებს, რომ შექმნილი კურიკულუმების (შექმნილია 10-12 კლასის კურიკულუმები) ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე იღებენ უკუკავშირსაც. თუმცა ამისთვის ჯერ-ჯერობით არ აქვს სკოლას ვებგვერდი.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- წარმოდგენილი: 10-12 კლასის კურიკულუმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი). თავდაპირველად, სკოლის მიერ ატვირთულ კურიკულუმებში იყო მცირედი უზუსტობები , მაგალითად შესავსები იყო სავალდებულო სვეტები... კოლეგებს მიეცაღთ რჩევა, ვიზიტის პირველ დღეს. მათ აღნიშნეს რომ იყო ტექნიკური ხარვეზი ატვირთვისას და ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინეს გამართული კურიკულუმმის ჩარჩოები საფეხურის ყველა კლასისისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები იყო, თუმცა ჩვენს საგანში არ იყო წარმოდგენილი , რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე საანში ფიზიკურ აღზრდა და სპორტში, არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

სკოლოის მიერ წარმოდგენილია თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურისათვის. რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.. გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე და სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, , რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას.
ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასების ფორმა.
- წარმოდგენილი: 10-12 კლასის კურიკულუმები.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
მე- 10-12 კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმისათვის , პედაგოგების მიერ შერჩეულია თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი , .პედაგოგეთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედაგოგების მიერ საწავლო პროცესის აღწერას ამყარებს მათ მიერ წამოდენილი გასული პრაქტიკის ამსახველი კომპლექსური დავალებები.
ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
კოლეგების მონათხრობით, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)
პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. პედაგოგების მიერ საწავლო პროცესის აღწერას ამყარებს მათ მიერ

წამოდნენილი გასული პრაქტიკის ამსახველი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გარწერილია მოსწავლეებისათვისბ ცოდნის ასე მიწოდების პროცესი.
ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**
ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება :
წარმოდგენილი კურიკულუმები.

შეფასება:
- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩობი ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენებას თანმიმდევრობით. არწერილი პროცეში ცანს წარმოდენილ კომპლექსურ დავალებაშიც... აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუდვილოებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას..

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

პედაგოგოებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც (ამას თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს) და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4.ეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
საგნის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და კათედრის დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმები, სადაც ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომშიც აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
წარმოებული ელექტრონული ჟურნალი, უზრუნველყოფს საბაზო საფეხურისთვის , შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მისი პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში ფიზიკურად.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
სკოლის თვითშეფასების ფორმა
შექმნილი კურიკულუმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო
სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუთი ნათელია და თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ კოლეგები, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სათანადო გარემოს შექმნას , ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. (დასტურდება შედგენმილი და წარმოდგენილი კურიკულუმებით), რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
ქუთაისის N10 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით),

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3 **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებისასაც აისახა სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან.: მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებული მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგემით და ამყარებს პედაგოგებთან გასაუბრება, ამიტომ შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4 **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**
პადაგოგებთან გასაუბრებით ჩანს რომ , სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი ფოტო მასალა, საქმიანობის ამსახველი მასალები ცხადყობს, რომ სკოლაში ყოველთვის ხშირად ტარდება სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და სკოლამ გამოთქვა მზაობა, კიდევ გააქტიურონ ეს პროცესი. აღნიშნული აქტივობები ჩანს ფოტომასალით.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დასწრების ფორმები,).

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლის სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიცემა ერთმანეთისათვის. (ამის ამსახველი წერილობითი წყაროები ჩვენს საგანში არ იყო, კოლეგებმა აღნინეს რომ უმეტესად ამას სიტყვიერი კომენტარებით ახრციელებენ,). ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსია, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ეს საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებითაც.
ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგებს და საჭიროებებს. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.
ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასება, რეფლექსიები.
- წარმოდგენილი კურიკულუმები .

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
სკოლა სასუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნში შეფასებისას , ეყრდნობიან საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებს, (წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის ნიმუში) ,პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას...
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით. მათი

ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით . სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.**შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე). მოსწავლეთა შეფასების მიზნით შეაგროვოს, მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ჩვენს საგანშიც, საბაზო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივიდან , იკვეთება, რომ შეფასებისას ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.. სასურველია მომავალშიც, განხორციელდეს მოხდეს შეფასებაში იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლის დროსაც მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს და შედეგის შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- კურკულუმები
- შერჩეული სადიააგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, სკოლას, როგორც ჩანს აქვს გარკვეული გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის.
ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის სასუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას,
ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საშუალოო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.
ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კურიკულუმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**
   სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, სადაც დაიგეგმა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავება, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების/განვითარების პროცესში.ასევე მასწავლებელბთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებელბი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათერდებთან.
   ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**
   კურიკულუმზე მუშაობის პროცესში დაწყებითი კათედრის წევრებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რესურსების მოდიფიცირებას, სსმ მოსწავლეებისათვის დავალებების მოდიფიცირებას , რაც ასახული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში.
   ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**
   სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: დაწყებითი კათედრის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, სკოლის მოსწავლეები და მშობლები. იგეგმება მშობელთა კრებაზე დაწყებითი კლასის მასწავლებელების, მშობლების და ბავშვების დასწრება, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი აზრი და ერთობლივად დაიწყონ კურიკულუმის მოდიფიცირება.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლში იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებ გვერდზე (ვებ გვერდის შექმნა არის მიმდინარე პროცესში), თიმსის პლატფორმაზე, ფეისბუკგვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე . ასევე კათედრის სხდომაზე და მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები,
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი,
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
   სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგვმისა და განვითარების გზას, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი უნარი და შესაძლებლობები აღნიშნული თემის ირგვლივ.კომპლექსურ დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები.
   ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლის კონტექტსტ მაგალითებიდან ჩანს, რომ სასწავლო თემები (მაგალითად : მოსწავლემ დამოუკიდებლად შექმნან თამაშები, ვიდეო კოლაჟები, კროსვორდები და ა.შ.) მუშავდება მოსწავლეების მიერ, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ 6 ფუნქციურ უნარს. ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმების დიფერენცირება და ამაზე დაყრდნობით კომპლექსური დავალებების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს შეეძლება არჩევანის გაკეთება.
   ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**
   სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს მოსწავლეთა საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც კარგად ვლინდება კომპლექსური დავალებების შესრულებისას, კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, მათ პირად გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მოვიაზროთ. მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ანიმაცია, პრეზენტაცია, პოსტერი, ელექტრონული წიგნი და ა.შ.) სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები (წარმოდგენილია დოკუმენტაციის სახით), საგნის მასწავლებელი სპეც მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებსა, შესაძლებლობებზე და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას.
   ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები: პრეზენტაციის, ცხრილის, ბროშურის, თვითშეფასების შეფასების რუბრიკები. სამომავლოდ იგეგმება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დახვეწა და მუშაობა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.
   ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;**
   გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. გარდა ამისა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე განიხილება მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ანგარიშები მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. რომელიც აისახება პედ. საჭოს ანგარიშში , რის საფუძველზეც გაკეთდება ანალიზი, , და გათვალისწინებულ იქნება მომდევნო სასწავლო წლის სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას.
   ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- კურიკულუმი,
- კომპლექსური დავალებების ჩაშენებული ნიმუშები, ·
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი,
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
- შეფასების რუბრიკები

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მოსწავლეთა არაფორმალურ განათლების აქტივობებში, პროექტებში, სასკოლო კლუბებში აქტიური ჩართულობა და ინიციატივები (CTEL, eTwinning, ციფრული სკოლა, ახალი სკოლის მოდელი და ა.შ..), რაც გულისხმობს მოსწავლის შემოქმედებით აქტივობაში ჩართულობას. ასევე საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს , რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარეცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები და პირისპირ ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს. კერძოდ , სასწავლო პროექტები, არაფორმალური განათლება, ექსკურსიები, ბავშვები მონაწილეობენ კლუბურ მუშაობაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირბულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;
კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებების დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლაში ხორციელდება სასკოლო , სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლაში არის სასკოლო კლუბი ,,ისტ'', რომელიც წარმართავს სასწავლო, საინფორმაციო, კვლევით და აღმზრდელობით პროცესს. ასევე არიან ,,ტექნოლოგიის ელჩები'' რომლებიც მოზარდებში ინფორმაციის მოძიების, დახარისხების და გაზიარების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების კანონიერად გამოყენების პოპულარიზაციას უწევენ.
ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი,
- კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია,
- სკოლის თვითშფასების განაცხადი.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. ნსასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**
   წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული კურიკულუმი არის სამუშაო ფორმატში და ახალი სასწავლო წლისთვის დეტალურად გაწერენ როგორც სამიზნე ცნებებს, ასევე ქვეცნებებს და კომპლექსურ დავალებებს.
   ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
   სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსოქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციოემოციური სფეროს განვითარებაზე. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადსხვა რესურსებს, აპლიკაციებს, პროგრამებს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო.სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები და ასისტენტი.
   ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**
   პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სამომავლოდ იგეგმება განმავითარებელი შეფასების ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლოსტური განვითარების მხარდაჭერაზე. სწავლა-სწავლების პროცესში სამომავლოდ (დიფერენცირებული მიდგომების დახვეწის თვლსაზრისით) სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას.
   ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და წარმოების ვერიფიკაცია. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმში განხილულია შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა).

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა სკოლაში უზრუნველყოფილია არანაკლებ 3 წლის ვადით. სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები,
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა,
- კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია.
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.˜
- კომპლექსური დავალება.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ არის შეზღუდული, არ ეშინია შეცდომების, აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს .სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე,მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;

გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში (მაგ: CTEL. eTwinning) და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი,
- სკოლის შინაგანაწესი.
- პროექტებში ჩართულობა (მაგ: CTEL, eTwinning).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
   სკოლა გამოთქვამს მზაობას განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ

ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. მონიტორინგისა და შეფასების დაწყებამდე სკოლა გეგმავს შეიმუშავოს მეთოდოლიგიური ჩარჩო, რათა გამოიკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შედეგები და ანალიზის პროცესები. მიღებული შდეგები აისახება კურიკულუმში სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლა გეგმავს მონიტორინგს. მონიტორინგის შეფასებისა და ანალიზის საფუძველი გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებას შემდეგი სამი მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, მიღწევა და დაგეგმვა.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;**

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- სკოლის სასწავლო გეგმა,
- ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
   შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს შეფასების წყაროების გამრავალფეროვნებას. შეფასების სისტემის დახვეწისას გათვალისწინებულ იქნება ბავშვის ემოციურ–სოციალურ– კოგნიტურ განვითარების პროცესი. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.
   ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
   საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზემტაცია. შეფასებაც განხხორციელდება შესაბამისად. სკოლა სამომავლოდ განახორციელებს შეფასების ისეთ რუბრიკებს, სადაც გათვალისწინებული იქნება, მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინდივიდუალური საჭიროებები.
   ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
   შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც გამოიხატება კონსტრუქციული უკუკავშირით. მოსწავლეთა აქტუალური ცოდნის დონის მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს.
   ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;**

მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო,
- სასკლო სასწავლო გეგმა,
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ოქმი,
- შეფასების ფორმები.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წინა წლის გამოცდილების საფუძველზე, სკოლა აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება, გამოკვეთილი

პრობლემის საფუძველზე შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, სადაც გაწერილი იქნება პრობლემის გადაჭრის გზები.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს;**

კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება, კათედრაზე გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას გათვალისწინებულ იქნება წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩო,
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სახელმწიფო ენა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
   სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ მიმდინარე წლის მარტის თვიდან იგეგმება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავება. შექმნეს გეგმა-გრაფიკი, რომელშიც გაწერეს პროცედურები, კონკტერულ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები. მასწავლებლებმა გაიარეს საგნორივი ტრენინგები კონცეპტუალური ჩარჩოს შევსებაზე. ქოუჩების დახმარებით დაიწყო ჩარჩოს შევსება. საგნობრივ კათედრებზე შეიკრიბენ საგნის მასწავლებლები და იმუშავეს აღნიშნულ საკითხზე. ამის შემდეგ ჩატარდა კათედრების გაერთიანებული სხდომა. მიიღეს გადაწყვეტილება მშობლების ინფორმირებულობის თაობაზე. დამრიგებლებმა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია გააზიარეს მშობელთა კრებებზე. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.

კათედრას აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმზე მუშობის პროცესში სახელმწიფო ენის კათედრამ გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების ინტერესები; მოსწავლეთათვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა კეთებით, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მოსწავლეებს აქვთ გამოცდილება მათივე ინტერესებიდან გამომდინარე შექმნან პროდუქტები: მაკეტი, პოსტერი, ბუკლეტები, დღიური, ბროშურა, სტატია, ვიდეორგოლები, კომიქსები. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლი საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ რეალურად ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და ახორციელებენ მთელ რიგ პროექტებს. სკოლა ორიენტირებულია მშობელთა ინტერესების გათავლისწინებაზეც, რადგან მათთან შეხვედრების შედეგად ვლინდება, რომ მშობელთა სურვილები, ძირითადად, მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ შედეგებსა და სამომავლო პროფესიისათვის სამზადისს უკავშირდება. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც იგეგმება), თიმსის პლატფორმის, ფეისბუქგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. ასევე კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე, მშობელთა კრებებზე გაზიარდება სასკოლო კურიკულუმები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- კითხვარი მშობელთათვის
- მშობლის კითხვარი- ანალიზი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
   ქართულის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
   კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**
   სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი

ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი და ა.შ.). სკოლას აქვს სსსმ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას. სკოლას ემსახურება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სპეც-მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული განრიგით სსსმ მუშაობენ ინდივიდუალურად რესურს ოთახში და ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს (შექმნილია ბრაილის შრიფტი და თვალსაჩინოებები). სკოლის დაწყებისთანავე ისგ ჯგუფის წევრები, სპეც- მასწავლებლები, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები, ასევე მოსწავლის მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი ადგენენ ისგ გეგმას, იხილავენ გრძელვადიან მიზანს, მოკლევადიან მიზნებს და მიზნის მისაღწევ აქტივობებს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების მუშაობისას კათედრა ითვალისწინებს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მინიჭებულ სტატუსიანი მოსწავლეების საჭიროებებს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ სკოლის ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები, კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. კათედრას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, მაგ. შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია ინდიკატორები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე კონკრეტული ქულის მისაღებად. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრას შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის რუბრიკა, რომლებსაც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს, მაგალითად: დისკუსიის, პრეზენტაციის, წერითი დავალებების, ესეების და ა.შ. პარალელური კლასების მოსწავლეთა შეფასება ხდება ერთი და იმავე კრიტერიუმებზე დაყრდნობით. სამომავლოდ იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების დასახვეწად მუშაობა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

წინარე გამოცდილების ანალიზზე (შემაჯამებლის ანალიზი) დაყრდნობით, ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზი, სემესტრული და წლიური ანგარიშები მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, რომელიც აისახება პედაგოგიური საბჭოს ანგარიშში, რის საფუძველზეც კეთდება ანალიზი, რომელიც დაგვეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვაში. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო

გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ისგ ჯგუფის ანგარიში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
კათედრაზე გამჭოლი ღირებულებებისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით სწავლა-სწავლების ეტაპი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და აქცენტი კეთდება ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლეს უბიძგებს სწავლის სწავლისკენ. მოსწავლე თავად არის ჩართული სასწავლო პროცესში. კათედრაზე ხორციელდება სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სოციალური პროექტი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი ,,ქუთაისი და კულტურათაშორისი დიალოგები“, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა. კურკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. მოსწავლეთა

ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება უმეტესად ხორციელდება ერთი საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, საგნის ფარგლებში ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდასაგნობრივ ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას, ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კათედრა გეგმავს, რომ კლასგარეშე და არაფორმალურ აქტივობებშიც გააქტიუროს ეს კატეგორიები და უფრო მეტი დატვირთვა გააკეთოს ისეთ სწავლებაზე, რომელიც პროცედურულ და პირობისეულ უნარებს უფრო გააქტიურებს და განავითარებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
საბაზო საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ეყრდნიბა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას და იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად სწავლების შესაძლებლობას. ამ მიზნით კათედრაზე ხორციელდება სასკოლო, სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ხორციელდება სხვადასხვა საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, საგნის ფარგლებში ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლებს ხშირად აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები ისტორიისა და სამოქალაქოს საგნებთან. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები

- სასწავლო პროექტები
- შიდასასკოლო კონფერენციის მასალები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**
   კათედრა მოსწავლეებში უზრუნველყოფს საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მოსწავლეები კონკრეტული საკითხის შესწავლისას სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით ეუფლებიან შესაბამის ცოდნას. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში დაიგეგმა კომპლექსური დავალებები თავისი ცნებებით, ქვეცნებებით, მკვიდრი წარმოდგენებით, საფეხურის საკვანძო შეკითხვებით, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან წარმართვას. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი

მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება ხდება საგნობრივ კონტექსტებზე დაყრდნობით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები და ასისტენტი. განხორციელებულია მრავალფეროვანი აქტივობები, კერძოდ, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო პროექტებსა და აქტივობებში. საბაზო საფეხურზე სკოლა ეხმარება მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს თვითრეგულაციის, თვითცნობიერების, სოციალური ცნობიერების, პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის უნარები. აღნიშნული მიმართულება პრიორიტეტულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**
სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ზუსტად განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**
საბაზო საფეხურის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. მათ შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე

თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩართულობაზე, პასუხისმგებლობასა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემაზე. მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რათა მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

   კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

   - მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.
   - სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და წარმოების ვერიფიკაცია.
   - მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

   ვერიფიკაციის მექანიზმში განხილულია შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე შესაბამისი ანგარიშების წარდგენასა და უკუკავშირს. ვერიფიკაციის დოკუმენტი მოიცავს შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმას. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. თუმცა სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

   სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება. მომავალი

წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. დაგეგმილია, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლაში არის თანამშრომლობით ურთიერთობაზე დამყარებული პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ყოველთვის იგრძნობა გაზიარებული პასუხისმგებლობა. მოსწავლე მუდმივად იღებს პასუხისმგებლობას ქცევის წესების შემუშავებასა და დაცვაზე, ქმნის სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსებს, ყოველივე ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაცია, მოსწავლე ყოველთვის თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების და მუდმივად გრძნობს მასწავლებლისგან მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ყოველთვის მზად არის ამ თუ იმ საკითხის ასახსნელად. გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოველთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს, იგი მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ, მუშაობენ გუნდურად (კურიკულუმის შედგენა, შემაჯემებლების ანალიზის ფორმის შედგენა, შეფასების რუბრიკების შედგენა, სასწავლო რესურსების გაზიარება) და უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც კვლავ უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**
   კათედრა მოსწავლეებს ხელს უწყობს თვითრეალიზებაში. თანამშრომლობითი სასწავლო პროცესი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის გარანტია. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**
   თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია სკოლის ძლიერი მხარეა. მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი - აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლაში არსებობს პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რომელიც გამოხატულობის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს და მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობას და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა და გამოწვევების განხილვა ხდება თანამშრომლობითი გზით (შექმნილია გამოცდილების გაზიარების ანალიზის ცხრილი, ჩატარდება კათედრის სხდომა, რეგულარულად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა თანამშრომლობით ჩატარდა შიდასასკოლო სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია) სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება წარმატებული სასკოლო პროექტები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი

კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება, ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლების ინტენსიური თანამშრომლობა, რათა შეგროვდეს შეფასების მასალები მონიტორინგისთვის. კათედრას შემუშავებული აქვს დოკუმენტი-ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა, პედაგოგთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სახელმწიფო ენის კათედრამ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

კათედრა ძირითადად შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. იგეგმება შეფასების წყაროების გამრავალფეროვნება. შეფასების სისტემის დახვეწისას გაითვალისწინებენ ბავშვის ემოციურ–სოციალურ–კოგნიტურ განვითარების პროცესს. კატედრა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებებს. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სახელმწიფო ენის კათედრა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. შიდა და გარე კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები

ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოცემულ ეტაპზე საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კათედრა გეგმავს, რომ მომდევნო ს/წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, გაითვალისწინონ ყველა ხარვეზი და მიგნება, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მათემატიკა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
   კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის სასწავლო გეგმით და კათედრების დებულებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს, განსხვავებულ ხედვებსა და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში.
   ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

   2 . კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
   როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან , კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.
   ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

   3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მათემატიკის კათედრის წევრები იკრიბებოდნენ ინტენსიურად. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას.
ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4 . კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მშობლებთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს და მზად არიან სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ მოთხოვნების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ის ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს.დიფერენცირებისთვის

გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში სარემედიაციო პროგრამაშიც რთავენ მოსწავლეებს შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

მათემატიკის სწავლებისას სკოლას საბაზო საფეხურზე სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. თუმცა სკოლაში ვიზიტისას პედაგოგთა ნაწილი განიხილავს მეორე მოდელის მნიშვნელობასა და ეფექტიანობასაც პრაქტიკაში. სკოლის ხედვით, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმები (7-9 კლ)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (7-9 კლასისთვის)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- განხორციელებული კომპლექსური დავალება და სასწავლო პროექტი;
- ისგ;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინდიკატორი 2.2.1.1 - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;** მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები,ისეთია რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება მუშაობა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას).

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მათემატიკის კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, განხორციელებულ სასწავლო პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დადასტურება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- კომპლექსური დავალება
- მოსწავლის ნამუშევრები
- განხორციელებული სასწავლო პროექტები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები

უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, ამ ეტაპზე სკოლაში ვერიფიკაცია გამოიყენება განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების მიხედვით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები (7-9 კლასის მათემატიკაში)
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მის მიერ მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- კათედრის ოქმი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსური დავალებების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2 . მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სასკოლო საზოგადოების წევრები მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სკოლის სამომავლო საქმიანობას.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. როგორც აღინიშნა, განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება.
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ამის დადგენა რთულია, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.
ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული.
ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.
ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო საწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. რეკომენდირებულია ყოველივე ზემოთაღნიშნული აღიწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- კურიკულუმი;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

უცხო ენა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს.
წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს იმ მეთოდებით, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში გათვალისწინებულია ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები:

კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.
ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები
სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაბამისად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.
ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი უცხოური ენების კათედრაზე მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებსდა შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი

სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც მიმდინარეობს), ,,თიმსის“ პლატფორმის, ფეისბუკგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას
სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საბაზო საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, რუსული ენის VII, VIII, XII კლასების კურიკულუმებში, სავალდებულო კომპონენტებს შორის ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპონენტი „მაგალითები შედარებისთვის“. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვნი გახადოს საბაზო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალებები, წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)
შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალუდური მიზნების როლს და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებას. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. აღნიშნულზე დაყრდნობით და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები.
კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში თითოეულ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა).

აქედან გამომდინარე, უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კერძო (კონკრეტული თემის შესაბამისად) ნიმუშები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვეცნებებთან მიმართებით.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, როგორ მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. შესაბამისად, აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ინდიკატორის მტკიცებულებების სახით, სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი და პედაგოგიური რეფლექსიები, მასწავლებელთა/დამრიგებელთა სემესტრული და წლიური ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სპეციალური მასწავლებლის წლიური ანგარიში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ანგარიში შემაჯამებელი შეხვედრის " გაზიარება უკეთესი პრაქტიკისათვის" შესახებ;
- ინკლუზიური განათლებიოს სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში,
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის:
- „სოლო" ტაქსონომიის გამოყენების მაგალითი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმები მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, ითვინინგის პროექტი, შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. ამასთანავე, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა VIII კლასი - საგაზეთო სტატია თემაზე „ ცნობილი ადამიანები“; ინგლისური ენა VII კლასში - პოსტერი თემაზე „უძველესი ლეგენდის წარმოშობის ისტორია“...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგალითად, ინგლისური ენის IX კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია „ პოსტერის პრეზენტაცია სასტუმროსთვის მომსახურე პერსონალი-რობოტის წარსადგენად“, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც “მაგალითი შედარებისთვის” პრეზენტაციის მახასიათებლები.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების დროს აქცენტს აკეთებენ იმ საკვანძო შეკითხვებზე, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც.

ამასთანავე, კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილ მასალებში აისახება სწავლის სწავლა მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა

სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის VIII კლასის დავალება „შექმენი პოსტერი ბულინგის პრევენციის შესახებ. პოსტერი წარმოადგინე კლასის წინაშე“ და რუსული ენის VII კლასის დავალება “გაითამაშე მეწყვილესთან ერთად ინტერვიუ შენი გატაცებებისა და თავისუფალი დროის შესახებ.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.
ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 წწ) და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 წწ);
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები;
- სასწავლო პროექტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის.

შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო- ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო საფეხურზე არ წარმოუდგენიათ უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები), მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგებილი საბაზო საფეხურზე უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები). თუმცა კათედრის წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.
ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.
ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა პედაგოგთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

- საბაზო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა , საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საქმიანობები.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთ თანამშრომლობითი ურთიერთობები.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

კათედრის მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებშიმუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების

მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი ურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. უკვე შექმნილი სანიმუშო ზოგადი ხასიათის განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამანავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას.
   ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

   ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
   შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.
   ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი ურიკულუმი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და აქტივობების ჩამონათვალი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის შემუშავება, აღწერილია პროცესებში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი ხდება კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო კურიკულუმის შექმნაზე მომუშავე გუნდი, რომელიც განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის სამუშაო ვერსიის შემუშავებას, შემდგომ ხდება სასკოლო საოზგადოებაში განხილვა და გაზიარა სხვადასხვა საშუალებით (სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, მშობელთა კრებები).

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა მოიცავს სამივე საფეხურებს, აღნიშნულ სკოლას აქვს გავლილი სამდღიანი ქოუჩინგის პროცესი, შექმნილი ჰქონდათ კურიკულუმის ჩარჩოები, თუმცა გარკვეული ხარვეზებით, რომლის რედაქტირებაც მოხდა ვიზიტის პირველ დღეს. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს განვითარებული აქვთ თანამშრომლობითი უნარები, მზაობა სიახლეების მისაღებად. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ხდება წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აღწერა, გაანალიზება და კურიკულუმის შემდგომი განვითარება. ვიზიტის დროს, დაკვირვებისა და ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კათედრის წევრები მზად არიან გამოწვევებისთვის, შექმნილია მეთოდოლოგია, გაწერილია საგნობრივი კურიკულუმები, სასკოლო თემის საჭიროებაზე მორგებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტი.

შესაბამისად, ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“ ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სასკოლო თემის პრიორიტეტები, რაც ჩანს განხორციელებულ პროექტებში. ამას მოწმობს ვიზიტის დროს გაზიარებული არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ამსახველი მასალა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, ისგ გეგმები, დიფერენცირებული მიდგომები, რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმის ჩარჩოში აღწერილი კონტექსტ-მაგალითებად აღებულია მოსწავლისათვის საინტერესო, პრობლემაზე ორინტირებული მაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. ვიზიტის დროს ვნახეთ ბევრი საინტერესო მასალა, რითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე და ეს ინტერესები ასახულია სასკოლო კურიკულუმში.

შესაბამისად, „კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“ ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმები სასკოლო თემის გამოცდილების თავმოყრისა და გაანალიზების საფუძველზე იქმნება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ გავლილი სამდღიანი ქოუჩინგი სხვა ავტორიზაციის პროცესში ჩართულ პედაგოგების მსგავსად, თუცა, მათ მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში იყო რიგი ხარვეზები, რომლების რედაქტირებაც მოვახდინეთ პირველ დღეს. კათედრაზე კოლეგები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, იმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოზე, სადაც მოცემული იყო თემები, ცნება/ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი/ძირითადი საკითხი, რესურსი. ჩარჩოს დარჩენილ ნაწილებს შეავსებენ სექტემბრამდე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, რომელთა გამოკვეთა მოხდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის გზით, გამოკითხვის შედეგების ანალიზის, ასევე გასული წლის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები იკრიბებიან კათედრაზე,მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ითვალისწინებენ ერთმანეთის

აზრს, გამოკვეთენ როგორც კლასის, ისე თითოეული მოსწავლის საჭიროებას, მათზე დაფუძნებით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. მშობელთა ჩართულობა დასტურდება შემუშავებულ კურიკულუმში დაგეგმილი აქტივობებიდან, მაგ.საგნის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი შეხვედრები მშობლებთან, კომპლექსური დავალების ბარათებიდან. ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს იყენებენ, მაგალითად, ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური ქსელის საშუალებით მშობელთა დახურულ ჯგუფებში, კომპლექსური დავალებების პირობის აღება ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი. მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა მათი ინტერესებიდან გამომდინარე ჩანს კურიკულუმით დაგეგმილ სხვადასხვა დამატებითი, ფორმალური თუ არაფორმალური მომსახურებების ჩამონათვალიდან, მაგ. საგნობრივი კლუბებიდან, გაზიარებული კურიკულუმის განხილვისას მშობელთა უკუკავშირებიდან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა გეგმავს მომავალ სასწავლო წელს კლუბის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, „ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“ ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

პედაგოგების მიერ განხილული და უკვე შემუშავებული კურიკულუმები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში, აგრეთვე თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილია, თუ როგორ ხდება კურიკულუმის და სხვა ინფორმაციის გაზიარება სასკოლო თემისათვის. დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, დაგეგმილ სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებს. საგნის მასწავლებლები, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ამზადებენ ბარათებს, რომლის საშუალებითაც ხდება მშობლების ინფორმირება თიმსის პლატფორმაზე, ფეისბუქ-გვერდით. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება განახლებული კურიკულუმების განთავსება ვებგვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა გაიზიაროს საგნობრივი კურიკულუმები.

შესაბამისად, ,, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“ ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის საგნების - ქიმიის - VIII და IX კურიკულუმები;
  ფიზიკის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები; ბიოლოგიის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
  - კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
  - სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი;
  - ისგ გეგმა; განხორციელებული აქტივობების ანგარიში, დანერგილი კომპლექსური დავალებების შეფასება, განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები, ბარათები;
  - მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
  - მშობელთან შეხვედრის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელშიც კონტექსტ-მაგალითი მოსწავლისთვის ნაცნობი გამოცდილებაა, შეიცავს პრობლემას, დილემას, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. თავდაპირველად წარმოდგენილ სამივე საგნის კურიკულუმებში სავალდებულო სვეტები (სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლასტერი) არ მუშავდებოდა, რაც ხელს შეუშლიდა მოსწავლის მიერ თემის მთლიანობაში აღქმას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. აღნიშნულის გამოსწორება მოხდა ვიზიტის ფარგლებში. მასწავლებლებმა საბოლოოდ წარმოადგინეს შესწორებული კურიკულუმი ყველა საგანში.

შესაბამისად ,, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“ ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რომლებზე მუშაობაც მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. შერჩეული და განხორციებული აქვთ კომპლექსური დავალები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. ასევე ფუნქციურ-

კომპონენტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უხდება მაკრო ცნებების გააზრება, ვნახე მოსწავლეთა მიერ შექმნილი ბევრი საინტერესო პროდუქტი. დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოეთხოვება პროდუქტის შექმნა, რაც მისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, რიგი დავალებები (მაგ. შექმნან საინფორმაციო ბუკლეტი თემაზე ,,ინფექციური დაავადებები“) ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ჩანაწერი არ არის ფორმალური და კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და მათი ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ამ აღნიშნული ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. მაგ. პროექტი ,,ხახუნის ძალის გასამართლება'', ,,რეგენერაციული მედიცინა'', საკონფერენციო თემა ,,ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი''.

შესაბამისად ,,კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“ ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რაც გულისხმობს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა.

ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. თითოეული კათედრის მიერ განხილული, გაანალიზებული, შერჩეული, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ჩაშენდა კურიკულუმებში. კონტექსტ-მაგალითებში გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მასზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში, აღნიშნული მიდგომა უნდა აისახოს თითოეულ საგაკვეთილო გეგმაში, გამომდინარე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან.

სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელსაც ითვალისწინებენ პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, ასევე ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე. ვიზიტის დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სადაც ჩანდა ერთი და იგივე საკითხზე შექმნილი, განსხვავებული სირთულის დავალებები, სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი(ბუკლეტი, პოსტერი), შემაჯამებელი დავალების ტესტები, გათვლილი სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე, რომლებიც იძლეოდა დიფერენცირების საშუალებას, სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ ისგ გეგმა. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები წინა წლის კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შექმნიან მომდევნო წლის კომპლექსურ დავალებებს. გაითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაბამისად მოახდენენ როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე კომპლექსურების ადაპტირებას საკუთარ მოსწავლეებზე.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. მასწავლებლები ხშირად იყენებენ მიმდინარე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა SOLO ტაქსონომია, რომლითაც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნებების მიმართ და შესაბამისად მიემართება საფეხურის შედეგებისკენ. SOLO ტაქსონომიის რუბრიკით შეფასებისას წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება, რაც მათთან თანამშრომლობის ერთგვარ წინაპირობას ქმნის. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი

თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება, რაც ჩანს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების რეფლექსიაში, მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზში, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზში; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები და კონტექსტ მაგალითები, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პრობლემის, დილემის გადაჭრაზე, მოსწავლეებს დააფიქრებს, შემოქმედებით პროცესში ჩართავს, ერთი და იგივე კონტექსტ-მაგალითი მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განიხილონ, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა მოძებნონ, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნან სხვადასხვა ვარიაციები , რაც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა, მათ შორის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებით უნარებს ავითარებს პროდუქტის შექმნაც, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს. დათვალიერების შედაგად აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს ლაბორატორიები(ქიმიის, ფიზიკა-ბიოლოგიის). აღჭურვილი რეაქტივებით, ჭურჭლით, ამწოვი კარადით. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს ინტერაქტიური, განახლებადი და შემეცნებითი.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

მასწავლებლების გასაუბრებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შემადგენელი კონტექსტ-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ მასზე დაყრდნობით ხდება ცოდნის კონსტრუირების პროცესი, ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ვიზიტის დროს პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში ჩანდა, რომ ყოველი შემდეგი დავალება დაფუძნებული იყო წინა დავალებაზე, ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას.

სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს ,კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის საშუალება, ანუ ის თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი სწავლის პროცესზე. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, ეს დასტურდება კომპლექსური დავალების მატრიცებებით, რომელშიც აქტივობები და სტრატეგიები იმგვარადაა შედგენილი, რომ მოსწავლეს ეხმარება საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში. სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში იქმნება ეს კომპლექსური ბუნების დავალებები თუ სხვა მიმდინარე აქტივობები, წახალისებული უნდა იყოს მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები თუ კომპლექსური ბუნების დავალები პრეზენტაცია. თუმცა , კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ნაკლებად არის შემუშავებული მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

მაგ. მე-9 კლასში ქიმიის პედაგოგმა განახორციელა კომპლექსური დავალება პოლიმერებზე, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლე დაგეგმილი აქტივობებიდან იღებს საკითხთან დაკავშირებულ დაკლარაციულ ცოდნას, ფაქტობრივი ცოდნის საფუძველზე მსჯელობს მათ გამოყენებაზე, რაც ჩანდა მოსწავლის მიერ შექმნილი ბუკლეტიდან. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. პირობისეულ ცოდნას ღებულობს მოსწავლე საგნობრივ წრეებში, სხვადასხვა სახის დამატებით ღონისძიებებში ჩართვისას, პროექტების განხორციელებისას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობის შექმნასა და განხორციელებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ყველა კონტექსტ-მაგალითი არ არის შევსებული, მაგრამ მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, აქვთ მზაობა,რომ ახალი სასწავლო წლისათვის ყველა კომპლექსური დავალება იქნება ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს.

ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზება ჩანს პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების შემაჯამებელი ტესტებში, რომლებიც შედგენილია გრძელვადიანი მიზნების- სამიზნე ცნებების მიმართ, დავალებებში, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიის გააზრებას ემსახურება, შესაბამისად ხდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული სამიზნე ცოდნების ურთიერთდაკავშირებულად შესწავლა.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კომპლექსური დავალებები.**

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.
- პედაგოგის მიერ განხორციელებული აქტივობები.
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით თითოეულ საგანში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ასახულია საგნის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლის მიერ შექნილ ჩარჩოებში საბუნებისმეტყველო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საგანში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. კომპლექსურ დავალებაში შეფასების კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ, მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, შესაბამისად ცნებებთან დაკავშირებულ ცოდნას გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიალური, რაც ითვალისწინებს ფილმების ჩვენებასაც, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება, ამასთანავე მათში აღძრავს ემპათიის გრძნობას. გარდა ამისა, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს სხვადასხვა კლუბები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარებულია მრავალფეროვანი აქტივობები, სკოლა მთელი სასწავლო წლის მანძილზე ახორციელებს სასკოლო პროექტებს რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება და

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან კლასგარეშე აქტივობებს. ვინაიდან, სკოლას აქვს ლაბორატორიები, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და კეთებით სწავლებაში ჩართულობის გასაძლიერებლად მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ჰოლისტური განვითარება-ეს არის მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება, ამიტომ შეფასება მიმართული უნდა იყოს მისი როგორც კოგნიტური, ისე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია ინფორმაცია სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. საიდანაც ჩანს რომ სკოლა იაზრებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როლს სწავლა - სწავლების პროცესში, ასევე - თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მნიშვნელობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად.

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში. გაკვეთილის აქტივობები, შემაჯამებელის ტესტები, საშინაო დავალებები მოიცავს კოგნიტურ ოპერაციებს(ამოცნობა, კლასიფიცირება, სწავლის სხვადასხვა სტრატეგიებს, დაგეგმვას). მოსწავლეთათა ჩართვა პროექტებში, თუმცა, კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით, აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, გამოავლენენ მოსწავლეთა საჭიროებებს(კოგნიტურ, სოციალური), კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და მათი გათვალისწინებით შეადგენენ ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

შეფასების კრიტერიუმები ხაზს უნდა უსვამდეს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწვალის პროცესზე. რაც გულისხმობს როგორც დროში პროგრესის შეფასებას, ასევე სწავლის შედეგის ხარისხის შეფასებას. შეფასების რუბრიკები სწორედ კრიტერიუმების საფუძველზე დგება.

საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით(შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა. სკოლაში არჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრები იყენებენ სტატისტიკურ ანალიზს, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს, რაც სტატისტიკურად გვიჩვენებს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა და რამდენად ექვემდებარება ის ახსნას. ასევე გვიჩვენებს, რამდენად არის მიღწეული სტანდარტის შედეგები. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა რეკომენდაცია. სკოლას ამ პროცესის განსახორციელებლად აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმი;**
- **სასწავლო პროექტები;**
- **მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;**
- **სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;**
- **მასწავლებლის პორტფოლიო;**
- **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში ;**
- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

როგორც წესი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლის მისია და ხედვა, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილი საათობრივი ბადე; სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც ამლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო , სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა და შესაბამისი აღწერილობა, რომლიც ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები ამაზე მეტყველებს. შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში,ასევე , ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. თუმცა, მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე

დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ეს უნდა აისახოს, როგორც საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ასევე საჭიროების შემთხვევაში მის ცვლილებაშიც. მნიშვნელოვანია ასევე სასკოლო კლუბებისა და წრეების არსებობა და საქმიანობა.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა კათედრების წევრთა მოვალეობაა. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. სასწავლო პროცესში ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა, ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა კურიკულარული პროცესებისა კათედრის წევრები სკოლაში დაგეგმილ აქტივობებშიც მონაწილეობენ. მაგალითად, პროექტში- ,,კიბერბულინგი ცნობიერების ამაღლება''.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;**

- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად
სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა წარმოადგინეს წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. დეტალურად ისაუბრეს კლასების მიხედვით მოსწავლეთა შეფასებებზე, შედეგებზე, გააკეთეს ანალიზი. თუმცა, გამოხატავენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეული იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი

განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა პირველი ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება, ჩატარდეს ქიმია , ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ერთხელ. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები ინტენსიურად ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს აძლევენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები**
- **რესურსი 12**
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმები**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წლიური ანგარიში

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რათა შეძლონ მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენება, აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების და

საორგანიზაციო ფორმების გამოყენებით(ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება.
ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები
მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი, ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.
ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით
მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.
ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები**
- **რესურსი 12**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები**
- **დიფერენცირებული დავალებები.**

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
ვიზიტის დროს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს და რეკომენდაციებს. იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს.
ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს
კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს

სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში**
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წლიური ანგარიში**

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში არის თანამშრობლობითი კულტურა, კურიკულუმის შეგდენისას კოლეგები ითვალისწინებდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმზე მუშაობის პროცესში საზოგადოებრივი კათედრის პედაგოეგებმა ერთობლივად გამოკვეთეს მოწავლეთა ინტერესები, მოსწავლებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა კეთებით და საკუთარი ინიციატივებით პროდუქტის შექმნა. პედაგოებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს მოსწავლებს უკვე აქვთ გამოცდილება როგორ შექმნან: მაკეტი, პოსტერი, ბუკლეტები, დღიური, ბროშურა, სტატია, ვიდეორგოლები, კომიქსები. ასევე ითვალისწინებენ მშობლების მოსაზრებებს, ინტერესებს, მშობლებთან კუმუნიკაცა მუდმივად ხდება სოციალური ქსელით.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები ერთმანეთს უზიარებდნენ მოსზრებებს საკუთარ შეხედულებებს. პედაგოეგებმა აღნიშნეს რომ არსებული კურიკულუმი არ არის სრულოყოფილი და გააგრძელებენ მასაზე მუშაობას ერთობლივად.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაზიარებულია ყველა პედაგოგის მიერ, მათ ერთობლივად, სკოლო საზოგადოების- მოსწავლის და მშობლების ინტერესებიდან გამომდინარე იმუშავეს აღნიშნულ კურიკულუმზე. მომავალში სკოლა გეგემავს მოხდეს კურიკუკუმების გაზიარება სკოლის ვებ გვრდეზე(რომელიც ამჟამად შექმნის პროცესშია) თიმსის პლათფორმით, საინფორმაციო დაფის საშუალებით, ასევე კათედრების გართიანებულ სხდომებზე და მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგემა.
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
შემუშავებულ კურიკუკუმებში ჩანს რომ მოსწავლეზეა ორიენტირებული (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) . პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რომ ცდილობენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიაწოდონ ახალი მასალა მოსწავლებას, დაგეგმონ სხვადასხვა საინტერესეო და მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები, რაც მოსწავლებს საშუალებას აძლებს განუვითარდეთ შემოქმედებითი და კრიტიკული უნარები. მაგ. მე-9 კალასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში თემა:**საქართველო და გარესამყარო მსოფლიო ომებისა და ცივი ომის პერიოდში.** რესურს მაგალითი:პირეველი მსოფლიო ომის შედეგები,ვერსალის საზავო ხელშეკრულება,ერთა ლიგა,ვილსონის 14 პუნქტი. კომპლექსური დავალების იდეა:**თეზისების მომზადება** რომელიც წარმოაჩენს მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რეალობას, ახალი პოლიტიკური რუკას,ახალი რისკებს,კონფერენციაზე მიმდინარე დისკუსიებს,მოსაზრებებს ვილსონის 14 პუნქტზე.
ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიურების დროს დადგინდა , რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით

(მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუსავდეს ყველა სამიზნე ცნება. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემაში უკვე დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება მაგ.მე-7 კლასის მოქალაქეობა ხუთი სასწავლო თემაა და ოთხი ცნება. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში მხოლოდ ბოლო სასწავლო თემაში- **ეკონომიური ურთიერთობები თემში** დამუშავებულია ყველა ცნება:**საზოგადოება დემოკრატია სამოქალაქო მონაწილეობა მდგრადი განვითარება.** დანარჩენ ოთხ სასწავლო თემებში არ არის ყველა ცნება დამუშავებული. როგორც ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს არსებული კურიკულუმები დახვეწის პროცესშია და ახალი 2023 სასწავლო წლის სექტემბერში სრულად იქნება ყველა თემის ფარგლებში დამუშავებული ყველა სამიზნე ცნება საგნობრივი სანდარტების და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბმისად.
ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს
სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს . დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი , პოსტერი, ნახატი და ა.შ.). სკოლას აქვს სსსმ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საგნის მასწავლებლი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას. სკოლას ემსახურება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სპეც-მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული განრიგით სსსმ მუშაობს ინდივიდუალურად მათ შორის რესურს ოთახში და ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს(შექმნილია ბრაილის შრიფტი, და თვალსაჩინოებები). სკოლის დაწყებისთანავე ისგ ჯგუფის წევრები, სპეც- მასწავლებლები, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები ასევე მოსწავლის მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი ადგენს ისგ გეგმას, იხილავს გრძელვადიან მიზანს, მოკლევადიან მიზნებს და მიზნის მისაღწევ აქტივობებს.
ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებას. შეფასებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტებით და პედაგოგებთან გასუბრებით დასტურდება რომ შეფასების მხრივ სკოლას აქვს დიდი გამოცდილება, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განმსაღვრელი შეფასების რუბრიკები, სოლო-ტაქსონომით შეფასებული კომპლექსური დავალებები. პედაგოგებს შექმნილი აქვთ (პრეზენტაციის შემაჯამებელი დავალების)განმსაღვრელი შეფასების რუბრიკები.პედაგოგების თქმით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს ქმნიან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნებებთან და საკითხთა კასტერთან მიმართებით თემის ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში.სკოლამ წარმოადგინა დაყებითი საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გაწერილი იყო კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ასევე სკოლა აკეთებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, საგნის პედაგოგების წლიურ და სემესტრულ ანგარიშებს. ხოლო ანლიზის სააფუძველზე გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ამის შემდგომ კი იგეგმება მომავალი წლის კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;
- სსსმ მოსწავლის გეგმა;
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებით. წარმოდგენილი კურიკულუმები რომლებშიც ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები მოსწავლეს აძლებს საშუალებას ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცეში. მაგ მე-7კლასის საგან მოქალაქეობაში პედაგოგებს შერჩეული აქვთ შემდეგი კომპლექსური დავალება: ბუკლეტის შექმნა -რომელშიც წარმოაჩენთ როგორ შეუწყობთ ხელს ტოლერანტობის ჩამოყალიბებას თემში.შემდგომ კი მოსწავლეებმა უნდა მოხადინონ ამ ბუკლეტის გავრცელება სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება რომ სკოლაში ფუნქციონირებს სახვადასხვა სახელოვნებო წრეები დიდი ყურადრება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას. (CTEL , იტვინინგი , ციფრული სკოლა , ბავშვთა საერთაშორისო ფონდის მიერ გამოცხადებულ ნახატების კონკურსში ,თემაზე - ,,მშვიდობა“).

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგ, წარმოდგენილ კურიკულუმებში საკითხები თემის ფარგელბში გაწერილია თანმიმდევრობით ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეა და და კონტექსტ მაგალითები, რაც იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას.. მაგ. მე-7 კლასი საგანი: ისტორია. სასწავლო თემა: ანტიკური და გვინანტიკური ხანა. საკითხთა კლასტერი: .ძველი ბერძნული ცივილიზაცია. რესურს მაგალითი: დემოკრატიის ჩამოყალიბება ბერძნული პოლისების მაგალითზე. კომპლექსური დავალება; პოლისის მაცხოვრებლის მიერ შედგენილი სტატია - მოქალაქის ცნება ბერძნულ რეალობაში.

ინდიკატორია 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდები ნაწილობრივ, სწორედ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებით წარიმართება სწავლა -სწავლების პროცესი სკოლაში, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის -სწავლაზე . როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კომპლექსური დავალების განხორციელების დროს არჩევენ ისეთ აქტივობებს რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს, უბიძგებს, სწავლის სწავლისაკენ. ასევე კომპლექსური დავალების ბოლოს პედგოგები ცდილობენ მოწავლებმა ისაუბრონ, გაანალიზონ, სწავლის რა სტატეგიები გამოიყენეს, რა ისწავლეს კომპლელექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები. შესაბამსად სასწავლო პროცეშიც მოხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა. კომპლექსური დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე იღებს ცოდნას შესასწავლი საკითხის მიმართ შემდეგ მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია

გასიტყვება მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება რომ სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდეები. სამივე საგნის კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები.მაგ.სასწავლო პროექტი ,,ტანადობის დარღვევა '' რეგენერაციული მედიცინა" ,,მინერალური წყალი", ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია", ,,საახლწლო ტრადიციები მსოფლიოს გარშემო'' , სასკოლო პროექტი :,, გარემო ჩვენს ირგვლივ", სოციალური პროექტები ,, სკოლის როლი კიბერუსაფრთხოების საკითხში" პედაგოგების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებებით, და პროექტებით მოსწავლები შეძლებენ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.
ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო აქტივობები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.
1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებაში საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია)გაწერილია სასწავლო თემები საკითხთა კლასტერები ცნებები . იმედია მოხდება ამ ცნების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იციან რამდენად მნიშვნელოვნია რომ მოხდეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლებთან.
ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების ფორმის ნარატივიც ადასტურებს, რომ შექმნილი კურიკულუმების (შექმნილია 7-9 კლასის კურიკულუმები) ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე იღებენ უკუკავშირსაც. თუმცა ამისთვის არ ქვს სკოლას ვებგვერდი.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- წარმოდგენილი: 7– 9 კლასის კურიკულუმები.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7 -9 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი). თავდაპირველად, სკოლის მიერ ატვირთულ კურიკულუმებში იყო მცირედი უზუსტობები , მაგალითად შესავსები იყო სავალდებულო სვეტები.
კოლეგებს მიეცათ რჩევა, ვიზიტის პირველ დღეს. მათ აღნიშნეს რომ იყო ტექნიკური ხარვეზი ატვირთვისას და ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინეს გამართული კურიკულუმმის ჩარჩოები საფეხურის ყველა კლასისისათვის. კურიკულუმით გათვცალისწინებული თემების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში პედაგოგი მოახერხებს მიზანზე გასვლას.
ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.ასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები იყო, თუმცა ჩვენს საგანში არ იყო წარმოდგენილი , რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.
ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
სკოლოის მიერ წარმოდგენილია თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურისათვის. რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.. გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე და სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე.
ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, , რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას,
ინდიკატორი 2.1.2. 5. სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასების ფორმა.
- წარმოდგენილი: 7 -9 კლასის კურიკულუმები.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმისათვის , პედაგოგების მიერ შერჩეულია თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი , .პედაგოგეთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედაგოგების მიერ საწავლო პროცესის აღწერას ამყარებს მათ მიერ წამოდნენილი გასული პრაქტიკის ამსახველი კომპლექსური დავალებები.
ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
კოლეგების მონათხრობით, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შემენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს..
ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. პედაგოგების მიერ საწავლო პროცესის აღწერას ამყარებს მათ მიერ წამოდნენილი გასული პრაქტიკის ამსახველი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გარწერილია მოსწავლეებისათვისბ ცოდნის ასე მიწოდების პროცესი.
ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**
ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც

გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება :

წარმოდგენილი: 7 -9 კლასის კურიკულუმები.

შეფასება

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩობი ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენებას თანმიმდევრობით. არწერილი პროცეში ცანს წარმოდენილ კომპლექსურ დავალებაშიც... აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუდვილოებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას..

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც (ამას თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს) და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
საგნის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და კათედრის დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმები, სადაც ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომშიც აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია.
ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

წარმოებული ელექტრონული ჟურნალი, უზრუნველყოფს საბაზო საფეხურისთვის , შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მისი პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში ფიზიკურად.
ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუთი ნათელია და თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ კოლეგები, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სათანადო გარემოს შექმნას , ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. (დასტურდება შედგენმილი და წარმოდგენილი კურიკულუმებით), რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ქუთაისის #10 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება მხოლოს ფოტომასალით, სიგელებით),

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3 .სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებისასაც აისახა სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან.: მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებული მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგემით და ამყარებს პედაგოგებთან გასაუბრება,

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პადაგოგებთან გასაუბრებით ჩანს რომ , სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი ფოტო მასალა, საქმიანობის ამსახველი მასალები ცხადყობს, რომ სკოლაში ყოველთვის ხშირად ტარდება სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და სკოლამ გამოთქვა მზაობა, კიდევ გააქტიურონ ეს პროცესი. აღნიშნული აქტივობები ჩანს ფოტომასალით.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3.კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დასწრების ფორმები,).
ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლის სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიცემა ერთმანეთისათვის. (ამის ამსახველი წერილობითი წყაროები ჩვენს საგანში არ იყო, კოლეგებმა აღნინეს რომ უმეტესად ამას სიტყვიერი კომენტარებით ახრციელებენ,). ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსია, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ეს საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებითაც.
ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ სკოლა გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგებს და საჭიროებებს. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.
ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასება, რეფლექსიები.**
- **სადიაგნოსტიკო შეფასების ისტრუმენტი..**

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათი

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
სკოლა საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნში შეფასებისას , ეყრდნობიან საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებს, (წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის ნიმუში) ,პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას...
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით. მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით . სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე). მოსწავლეთა შეფასების მიზნით შეაგროვოს, მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ჩვენს საგანშიც, საბაზო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივიდან , იკვეთება, რომ შეფასებისას ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.. სასურველია მომავალშიც, განხორციელდეს მოხდეს შეფასებაში იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლის დროსაც მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს და შედეგის შეფასებას.,

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- კურკულუმები
- შერჩეული სადიააგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, სკოლას, როგორც ჩანს აქვს გარკვეული გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის.
ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას,

ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კურიკულუმები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

სახელმწიფო ენა

2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
   სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ მიმდინარე წლის მარტის თვიდან იგეგმება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავება. შექმნეს გეგმა-გრაფიკი, რომელშიც გაწერეს პროცედურები, კონკტერულ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები. მასწავლებლებმა გაიარეს საგნორივი ტრენინგები კონცეპტუალური ჩარჩოს შევსებაზე. ქოუჩების დახმარებით დაიწყო ჩარჩოს შევსება. საგნობრივ კათედრებზე შეიკრიბენ საგნის მასწავლებლები და იმუშავეს აღნიშნულ საკითხზე. ამის შემდეგ ჩატარდა კათედრების გაერთიანებული სხდომა. მიიღეს გადაწყვეტილება მშობლების ინფორმირებულობის თაობაზე. დამრიგებლებმა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია გააზიარეს მშობელთა კრებებზე. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და

კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრას აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმზე მუშობის პროცესში სახელმწიფო ენის კათედრამ გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების ინტერესები; მოსწავლეთათვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა კეთებით, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მოსწავლეებს აქვთ გამოცდილება მათივე ინტერესებიდან გამომდინარე შექმნან პროდუქტები: მაკეტი, პოსტერი, ბუკლეტები, დღიური, ბროშურა, სტატია, ვიდეორგოლები, კომიქსები. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლი საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ რეალურად ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და ახორციელებენ მთელ რიგ პროექტებს. სკოლა ორიენტირებულია მშობელთა ინტერესების გათავლისწინებაზეც, რადგან მათთან შეხვედრების შედეგად ვლინდება, რომ მშობელთა სურვილები, ძირითადად, მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ შედეგებსა და სამომავლო პროფესიისათვის სამზადისს უკავშირდება. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელმა პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც იგეგმება), თიმსის პლატფორმის, ფეისბუქგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. ასევე კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე, მშობელთა კრებებზე გაზიარდება სასკოლო კურიკულუმები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი

საშუალო საფეხურის კურიკულუმები

კითხვარი მშობელთათვის

მშობლის კითხვარი- ანალიზი
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
   ქართულის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები საგანში

მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**
სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი და ა.შ.). სკოლას აქვს სსსმ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საგნის მასწავლებლი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას. სკოლას ემსახურება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სპეც-მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული განრიგით სსსმ მუშაობენ ინდივიდუალურად რესურს ოთახში და ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს (შექმნილია ბრაილის შრიფტი და თვალსაჩინოებები). სკოლის დაწყებისთანავე ისგ ჯგუფის წევრები, სპეც- მასწავლებლები, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები, ასევე მოსწავლის მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი ადგენენ

ისგ გეგმას, იხილავენ გრძელვადიან მიზანს, მოკლევადიან მიზნებს და მიზნის მისაღწევ აქტივობებს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების მუშაობისას კათედრა ითვალისწინებს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მინიჭებულ სტატუსიანი მოსწავლეების საჭიროებებს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ სკოლის ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები, კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. კათედრას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, მაგ. შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია ინდიკატორები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე კონკრეტული ქულის მისაღებად. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრას შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის რუბრიკა, რომლებსაც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს, მაგალითად: დისკუსიის, პრეზენტაციის, წერითი დავალებების, ესეების და ა.შ. პარალელური კლასების მოსწავლეთა შეფასება ხდება ერთი და იმავე კრიტერიუმებზე დაყრდნობით. სამომავლოდ იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების დასახვეწად მუშაობა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

წინარე გამოცდილების ანალიზზე (შემაჯამებლის ანალიზი) დაყრდნობით, ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზი, სემესტრული და წლიური ანგარიშები მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, რომელიც აისახება პედაგოგიური საბჭოს ანგარიშში, რის საფუძველზეც კეთდება ანალიზი, რომელიც დაგვეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვაში. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული

გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ისგ ჯგუფის ანგარიში
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
შეფასების რუბრიკები
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კათედრაზე გამჭოლი ღირებულებებისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით სწავლა-სწავლების ეტაპი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და აქცენტი კეთდება ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლეს უბიძგებს სწავლის სწავლისკენ. მოსწავლე თავად არის ჩართული სასწავლო პროცესში. კათედრაზე ხორციელდება სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სოციალური პროექტი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი ,,ქუთაისი და კულტურათაშორისი დიალოგები“, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა. კათედრაზე არსებობს ,,მკითხველთა კლუბი“, რომელიც აერთიანებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. საშუალო საფეხურის რამდენიმე მოსწავლემ გაიმარჯვა საქალაქო და ეროვნულ ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში. კურკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია საკვანძო კითხვები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება უმეტესად ხორციელდება ერთი საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, საგნის ფარგლებში ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდასაგნობრივ ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას, ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კათედრა გეგმავს, რომ კლასგარეშე და არაფორმალურ აქტივობებშიც გააქტიუროს ეს კატეგორიები და უფრო მეტი დატვირთვა გააკეთოს ისეთ სწავლებაზე, რომელიც პროცედურულ და პირობისეულ უნარებს უფრო გააქტიურებს და განავითარებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ მიზნით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ეყრდნიბა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას და იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად სწავლების შესაძლებლობას. ამ მიზნით კათედრაზე ხორციელდება სასკოლო, სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ხორციელდება სხვადასხვა საგნის ფარგლებში და არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, საგნის ფარგლებში ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლებს ხშირად აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები ისტორიისა და სამოქალაქოს საგნებთან. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
სასწავლო პროექტები

შიდასასკოლო კონფერენციის მასალები
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;** კათედრა მოსწავლეებში უზრუნველყოფს საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მოსწავლეები კონკრეტული საკითხის შესწავლისას სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით ეუფლებიან

შესაბამის ცოდნას. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში დაიგეგმა კომპლექსური დავალებები თავისი ცნებებით, ქვეცნებებით, მკვიდრი წარმოდგენებით, საფეხურის საკვანძო შეკითხვებით, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან წარმართვას. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
   მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება ხდება საგნობრივ კონტექსტებზე დაყრდნობით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები და ასისტენტი. განხორციელებულია მრავალფეროვანი აქტივობები, კერძოდ, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო პროექტებსა და აქტივობებში. საშუალო საფეხურზე სკოლა ეხმარება მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს თვითრეგულაციის, თვითცნობიერების, სოციალური ცნობიერების, პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის უნარები. აღნიშნული მიმართულება პრიორიტეტულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

   ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**
   სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ზუსტად

განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

   საშუალო საფეხურის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. მათ შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩართულობაზე, პასუხისმგებლობასა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემაზე. მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რათა მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. კათედრაზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. თუმცა სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

   კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

   მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.

   სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და წარმოების ვერიფიკაცია.

   მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

   ვერიფიკაციის მექანიზმში განხილულია შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე შესაბამისი ანგარიშების წარდგენასა და უკუკავშირს.

ვერიფიკაციის დოკუმენტი მოიცავს შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმას. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. თუმცა სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. დაგეგმილია, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
ქართულის კათედრის ოქმები
შეფასების რუბრიკები
სასწავლო პროექტები

ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში არის თანამშრომლობით ურთიერთობაზე დამყარებული პოზიტიური სასწავლო გარემო. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ყოველთვის იგრძნობა გაზიარებული პასუხისმგებლობა. მოსწავლე მუდმივად იღებს პასუხისმგებლობას ქცევის წესების შემუშავებასა და დაცვაზე, ქმნის სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსებს, ყოველივე ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაცია, მოსწავლე ყოველთვის თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების და მუდმივად გრძნობს მასწავლებლისგან მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ყოველთვის მზად არის ამ თუ იმ საკითხის ასახსნელად. გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოველთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს, იგი მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ, მუშაობენ გუნდურად (კურიკულუმის შედგენა, შემაჯამებლების ანალიზის ფორმის შედგენა, შეფასების რუბრიკების შედგენა, სასწავლო რესურსების გაზიარება) და უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც კვლავ უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კათედრა მოსწავლეებს ხელს უწყობს თვითრეალიზებაში. თანამშრომლობითი სასწავლო პროცესი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის გარანტია. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია სკოლის ძლიერი მხარეა. მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი - აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლაში არსებობს პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რომელიც გამოხატულობის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს და მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობას და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა და გამოწვევების განხილვა ხდება თანამშრომლობითი გზით (შექმნილია გამოცდილების გაზიარების ანალიზის ცხრილი, ჩატარდება კათედრის სხდომა, რეგულარულად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა თანამშრომლობით ჩატარდა შიდასასკოლო სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია) სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება წარმატებული სასკოლო პროექტები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება, ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ქართულის კათედრის ოქმები
სასწავლო პროექტები
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
   მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლების ინტენსიური თანამშრომლობა, რათა შეგროვდეს შეფასების მასალები მონიტორინგისთვის. კათედრას შემუშავებული აქვს დოკუმენტი-ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა, პედაგოგთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის

მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენის კათედრამ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ქართულის კათედრის ოქმები
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

კათედრა ძირითადად შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. იგეგმება შეფასების წყაროების გამრავალფეროვნება. შეფასების სისტემის დახვეწისას გაითვალისწინებენ ბავშვის ემოციურ–სოციალურ–კოგნიტურ განვითარების პროცესს. კატედრა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებებს. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
   სახელმწიფო ენის კათედრა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
   ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. შიდა და გარე კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
   ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ქართულის კათედრის ოქმები
შეფასების რუბრიკები
შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოცემულ ეტაპზე საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კათედრა გეგმავს, რომ მომდევნო ს/წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, გაითვალისწინონ ყველა ხარვეზი და მიგნება, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის თვითშეფასების განაცხადი
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მათემატიკა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
   კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის სასწავლო გეგმით და კათედრების დებულებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს, განსხვავებულ ხედვებსა და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში.

   ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**
   როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან , კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

   ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**
   როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მათემატიკის კათედრის წევრები იკრიბებოდნენ ინტენსიურად. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მშობლებთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი,
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;** საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს და მზად არიან სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ მოთხოვნების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ის ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4 . განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

მათემატიკის სწავლებისას სკოლას საშუალო საფეხურზე სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. თუმცა სკოლაში ვიზიტისას პედაგოგთა ნაწილი განიხილავს მეორე მოდელის მნიშვნელობასა და ეფექტიანობასაც პრაქტიკაში. სკოლის ხედვით, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმები (10-12 კლ)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (10-12 კლასისთვის)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისგ
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტებით სწავლებაში, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები,ისეთია რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება მუშაობა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას).

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მათემატიკის კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, განხორციელებულ სასწავლო პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

(მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- კომპლექსური დავალება
- მოსწავლის ნამუშევრები
- განხორციელებული სასწავლო პროექტები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4 .შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5 .კოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, ამ ეტაპზე სკოლაში ვერიფიკაცია გამოიყენება განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების მიხედვით. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები (10-12 კლასის მათემატიკაში)

- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2 . სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მის მიერ მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები (10-12 კლასი - მათემატიკა)
- კათედრის ოქმი
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ.
- შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
   სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსური დავალებების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სასკოლო საზოგადოების წევრები მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სკოლის სამომავლო საქმიანობას.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. როგორც აღინიშნა, განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- შეფასების რუბრიკები
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება.
ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ამის დადგენა რთულია, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო საწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლას არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. რეკომენდირებულია ყოველივე ზემოთაღნიშნული აღიწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.
ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ხოლო კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- კათედრის წევრებთან ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

უცხო ენა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.5 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს.

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს იმ მეთოდებით, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში გათვალისწინებულია ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები: კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების

სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაბამისად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი უცხოური ენების კათედრაზე მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის

შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ვებგვერდის (რომლის შექმნაც მიმდინარეობს), ,,თიმსის“ პლატფორმის, ფეისბუკგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

4.3 **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, რუსული ენის VII, VIII, XII კლასების კურიკულუმებში, სავალდებულო კომპონენტებს შორის ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპონენტი „მაგალითები შედარებისთვის“. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფერონი გახადოს საშუალო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალებები, წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.4 **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალუდური მიზნების როლს და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებას. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. აღნიშნულზე დაყრდნობით და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები.

კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.5 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებსსკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში თითოეულ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა).

აქედან გამომდინარე, უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.6 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კერძო (კონკრეტული თემის შესაბამისად) ნიმუშები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესცნებებთან მიმართებით.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, როგორ მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. შესაბამისად, აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ინდიკატორის მტკიცებულებების სახით, სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი და პედაგოგიური რეფლექსიები, მასწავლებელთა/დამრიგებელთა სემესტრული და წლიური ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სპეციალური მასწავლებლის წლიური ანგარიში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
კათედრის ანგარიში შემაჯამებელი შეხვედრის " გაზიარება უკეთესი პრაქტიკისათვის" შესახებ;
ინკლუზიური განათლებიოს სამოქმედო გეგმა;
ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში,
სსგ მონიტორინგის გეგმა;
კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის:
„სოლო" ტაქსონომიის გამოყენების მაგალითი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
სასწავლო პროექტები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმები მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, ითვინინგის პროექტი, შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. ამასთანავე,
პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და

შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა XII კლასი - პრეზენტაცია თემაზე „ჩემი სამომავლო გეგმები"; ინგლისური ენა X კლასში - ესე თემაზე „მობილური ტელეფონის ტარება სკოლაში"...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის" შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგალითად, ინგლისური ენის IX კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია „ პოსტერის პრეზენტაცია სასტუმროსთვის მომსახურე პერსონალი-რობოტის წარსადგენად", სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც "მაგალითი შედარებისთვის" პრეზენტაციის მახასიათებლები.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების დროს აქცენტს აკეთებენ იმ საკვანძო შეკითხვებზე, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც.

ამასთანავე, კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილ მასალებში აისახება სწავლის სწავლა მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა

სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის X კლასის დავალების პირობა ასეთია „წარმოიდგინე, რომ ხარ საზღვარგარეთ, ფესტივალზე; აირჩიე ნებისმიერი ქართული წარმოების პროდუქტი და გაუწიე რეკლამა. რეკლამისთვის გამოიყენე სასურველი რესურსი. მაგ: პოსტერი, ციფრული რესურსი და სხვა. რეკლამაში წარმოაჩინე, რა პროდუქტია, როგორ ან რისთვის გამოიყენება, რატომ არის უნიკალური და სხვა, მოიყვანე სათანადო არგუმენტები და კონრეტული მაგალითები შენი თვალსაზრისის გასამყარებლად“. გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 წწ);
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 წწ);
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები;
- სასწავლო პროექტი;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

   საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის.
   შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.
   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.
   ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**
   კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო- ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
   ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**
   სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას.

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო საფეხურზე არ წარმოუდგენიათ უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები), მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგებილი საშუალო საფეხურზე უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი რუბრიკები). თუმცა კათედრის წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის

მიხედვით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა პედაგოგთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

- საშუალო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა , საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საქმიანობები.
   ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**
   კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას.

ინდიკატორი 2.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები.

ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთ თანამშრომლობითი ურთიერთობები.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა.

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   კათედრის მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი დაშეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებშიმუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების

მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი ურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. უკვე შექმნილი სანიმუშო ზოგადი ხასიათის განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამანავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი ურიკულუმი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.
   ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლას აქვს დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და აქტივობების ჩამონათვალი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის შემუშავება, აღწერილია პროცესებში მონაწილე და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი ხდება კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო კურიკულუმის შექმნაზე მომუშავე გუნდი, რომელიც განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის სამუშაო ვერსიის შემუშავებას, შემდგომ ხდება სასკოლო საოზგადოებაში განხილვა და გაზიარა სხვადასხვა საშუალებით (სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, მშობელთა კრებები).

სსიპ ქალაქ ქუთაისის N10 საჯარო სკოლა მოიცავს სამივე საფეხურებს, აღნიშნულ სკოლას აქვს გავლილი სამდღიანი ქოუჩინგის პროცესი, შექმნილი ჰქონდათ კურიკულუმის ჩარჩოები, თუმცა გარკვეული ხარვეზებით, რომლის რედაქტირებაც მოხდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის პირველ დღეს. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს განვითარებული აქვთ თანამშრომლობითი უნარები, მზაობა სიახლეების მისაღებად. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ხდება წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების აღწერა, გაანალიზება და კურიკულუმის შემდგომი განვითარება. ვიზიტის დროს, დაკვირვებისა და ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კათედრის წევრები მზად არიან გამოწვევებისთვის, შექმნილია მეთოდოლოგია, გაწერილია საგნობრივი კურიკულუმები, სასკოლო თემის საჭიროებაზე მორგებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტი.

შესაბამისად, ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“ ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სასკოლო თემის პრიორიტეტები, რაც ჩანს განხორციელებულ პროექტებში. ამას მოწმობს ვიზიტის დროს გაზიარებული არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ამსახველი მასალა, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, ისგ გეგმები, დიფერენცირებული მიდგომები, რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმის ჩარჩოში აღწერილი კონტექსტ-მაგალითებად აღებულია მოსწავლისათვის საინტერესო, პრობლემაზე ორინტირებული მაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. ვიზიტის დროს ვნახეთ ბევრი საინტერესო მასალა, რითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე და ეს ინტერესები ასახულია სასკოლო კურიკულუმში.

შესაბამისად, ,,კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“ ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმები სასკოლო თემის გამოცდილების თავმოყრისა და გაანალიზების საფუძველზე იქმნება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ გავლილი სამდღიანი ქოუჩინგი სხვა ავტორიზაციის პროცესში ჩართულ პედაგოგების მსგავსად, თუცა, მათ მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში იყო რიგი ხარვეზები, რომლების რედაქტირებაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოვახდინეთ პირველ დღეს. კათედრაზე კოლეგები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, იმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოზე, სადაც მოცემული იყო თემები, ცნება/ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი/ძირითადი საკითხი, რესურსი. ჩარჩოს დარჩენილ ნაწილებს შეავსებენ სექტემბრამდე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, რომელთა გამოკვეთა მოხდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის გზით, გამოკითხვის შედეგების ანალიზის, ასევე გასული წლის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები იკრიბებიან კათედრაზე,მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, გამოკვეთენ როგორც კლასის, ისე თითოეული მოსწავლის საჭიროებას, მათზე დაფუძნებით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. მშობელთა ჩართულობა დასტურდება შემუშავებულ კურიკულუმში დაგეგმილი აქტივობებიდან, მაგ.საგნის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი შეხვედრები მშობლებთან, კომპლექსური დავალების ბარათებიდან. ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს იყენებენ, მაგალითად, ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური ქსელის საშუალებით მშობელთა დახურულ ჯგუფებში, კომპლექსური დავალებების პირობის აღება ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი. მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა მათი ინტერესებიდან გამომდინარე ჩანს კურიკულუმით დაგეგმილ სხვადასხვა დამატებითი, ფორმალური თუ არაფორმალური მომსახურებების ჩამონათვალიდან, მაგ. საგნობრივი კლუბებიდან, გაზიარებული კურიკულუმის განხილვისას მშობელთა უკუკავშირებიდან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა გეგმავს მომავალ სასწავლო წელს კლუბის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, „ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“ ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

პედაგოგების მიერ განხილული და უკვე შემუშავებული კურიკულუმები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასკოლო საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმები. მეთოდოლოგიაში, აგრეთვე თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილია, თუ როგორ ხდება კურიკულუმის და სხვა ინფორმაციის გაზიარება სასკოლო თემისათვის. დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, დაგეგმილ სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებს. საგნის მასწავლებლები, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ამზადებენ ბარათებს, რომლის საშუალებითაც ხდება მშობლების ინფორმირება თიმსის პლატფორმაზე, ფეისბუქ-გვერდით. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება განახლებული კურიკულუმების განთავსება ვებგვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა გაიზიაროს საგნობრივი კურიკულუმები.

შესაბამისად, „ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“ ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის - X კლასის კურიკულუმები;**
  - **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;**
  - **სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი;**
  - **ისგ გეგმა; განხორციელებული აქტივობების ანგარიში, დანერგილი კომპლექსური დავალებების შეფასება, განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები, ბარათები;**
  - **მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;**
  - **მშობელთან შეხვედრის ოქმები**

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელშიც კონტექსტ-მაგალითი მოსწავლისთვის ნაცნობი გამოცდილებაა, შეიცავს პრობლემას, დილემას, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. თავდაპირველად წარმოდგენილ სამივე საგნის კურიკულუმებში სავალდებულო სვეტები (სამიზნე ცნება, საკითხი/საკითხთა კლასტერი) არ მუშავდებოდა, რაც ხელს შეუშლიდა მოსწავლის მიერ თემის მთლიანობაში აღქმას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. აღნიშნულის გამოსწორება მოხდა ვიზიტის ფარგლებში. მასწავლებლებმა საბოლოოდ წარმოადგინეს შესწორებული კურიკულუმი ყველა საგანში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად ,, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“ ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

